პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტ. და ტფ. კომიტეტების და ცაკის ორგანო

ფასი 10 კაპ.
ოთხშაბათი,
9
იანვარი
1935 წ.
№ 8 (4165)

დღეს ნომერში

— მისალმება ამხ. სტალინს (1-ლი გვ.).
— დონის როსტოვის განთავისუფლების 15 წლისთავი (მე-2 გვ.).
— იდეურად შევაიარაღოთ თვითეული კომუნისტი (მოწინავე. 1-ლი გვ.).
— საქართველოს ალკკ ც. კ-ის VI პლენუმი. (საინფორმაციო ცნობა. 1-ლი გვ.).
— დაიხურა აფხაზეთის და აჭარისტანის საბჭოების ყრილობები.
— სტატიები: ვ. მაჭავარიანის—ტფილისი 1934 წელს, (მე-2 გვ.), გ. გაბუნიას—ბრძოლა პარტიის მე-17 ყრილობის დადგენილებათა განხორციელებისათვის, (მე-3 გვ.).
— უცხოეთის ინფორმაცია: საფრანგეთ-იტალიის შეთანხმება მიღწეულია, ჩეხოსლოვაკიის პრესა ამხ. ლიტვინოვის სიტყვის შესახებ.

იდეურად შევაიარაღოთ თვითეული კომუნისტი

ახალ პირობებში, როცა სოციალიზმმა გაიმარჯვა ყველა ხაზით, როცა ჩვენ საბოლოოდ ვსპობთ კულაკობის ნაშთებს, რომლებიც ხედავენ რა თავის აღსასრულს, გააფთრებული წინააღმდეგობას უწევენ ჩვენს საქმეს,—უფრო მეტად ვიდრე ოდესმე გვესაჭიროება მარქსიზმ-ლენინიზმით სრული შეიარაღება, გვესაჭიროება „განსაკუთრებული მასალისაგან" გაკეთებული, იდეურად მტკიცე ბოლშევიკები.

დიდი და საპასუხისმგებლოა კომუნისტის, როგორც მასების ხელმძღვანელის და ორგანიზატორის როლი, ხელმძღვანელი წინ უნდა უძღოდეს მასებს, მასზე უფრო შორს და კარგად ხედავდეს, მაზე მეტი იცოდეს. ეს ყოველთვის იყო და ახლაც არის ბოლშევიკური პარტია მარქს-ლენინ-სტალინის თეორიით შეიარაღებული, წინ მიუძღვება მასებს.

კომუნისტი, რომელიც ვერ ერკვევა ლენინიზმის ელემენტარულ საკითხებში, რომელიც სისტემატიურად არ მუშაობს თავისი იდეური მომზადების დონის ასამაღლებლად, ცხადია, ასეთი კომუნისტი არაა კომუნისტი ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით. ბოლშევიკს არ შეუძლია როგორც ამხ. კაგანოვიჩი ამბობდა, სწამდეს კომუნიზმი, როგორც მართლმორწმუნეს სწამს ცათა სასუფეველი.

მასების წინამძღოლი — კომუნისტი უნდა დაეუფლოს მარქს-ენგელს ლენინ-სტალინის რევოლუციურ თეორიას. პარტიის წესდება თვითეული წევრისაგან მოითხოვს „დაუღალავად იმუშაოს თავისი იდეური შეიარაღების ამაღლებაზე".

პარტიის მე-17 ყრილობამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია კომუნისტების იდეური ამაღლების საქმეს, ყრილობის შემდეგ ფართოდ გაიშალა მუშაობა ამ მიმართულებით: პარტიულმა ორგანიზაციებმა მეტი ყურადღება მიაქციეს პარტიულ სწავლებას. მაგრამ ჯერ მაინც სუსტადაა გაშლილი ბრძოლა თვითეული კომუნისტის იდეური შეიარაღებისათვის, ბევრგან არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული პარტიულ-აღმზრდელობითი მუშაობა.

შემთხვევითი როდია, რომ საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა სპეციალურად განიხილა საკითხი „პარტიულ-აღმზრდელობითი მუშაობის ამოცანების შესახებ".

პლენუმმა აღნიშნა, რომ „პარტიული აღმზრდელობითი მუშაობის დაყენება მთელ რიგ პირველად პარტორგანიზაციებში და ცალკეულ რაიკომების მხრივ ამ მუშაობის ხელმძღვანელობა ჯერ კიდევ ჩამორჩება საკავშირო კ. პ. (ბ) მე-17 ყრილობის მიერ დასმულ ამოცანების დონეს".

ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა საქართველოს პარტიული ორგანიზაციების ძირითად ამოცანად დასახა პირველადი პარტიული ორგანიზაციების მუშაობაში იდეურ-პოლიტიკური დონის შემდგომი ამაღლება, პარტიის წევრთა შორის პოლიტიკურ-აღმზრდელობითი და კულტურული მუშაობის ძირფესვიანად გაუმჯობესება და ამ საფუძველზე სოციალისტური მშენებლობის ყველა უბანზე კომუნისტების ბრძოლის უნარიანობის უფრო მეტად გაძლიერება.

პარტიულ სწავლებას ზოგიერთი პარტიული ორგანიზაცია დღემდე არ აქცევს საკმაო ყურადღებას, პარტიული სწავლების ხელმძღვანელობას რაიონში აკისრებენ პარტიულ კაბინეტებს, რაც პლენუმმა არასწორად ჩასთვალა.

წელს პარტგანათლების ქსელში ჩაბმულია 35.193 კომუნისტი (რკინისგზის ტრანსპორტის და უმაღლესი სასწავლებლების გამოკლებით) ეს მაშინ, როცა 1930-31 წელს ჩაბმული იყო 11.400 კომუნისტი, პარტგანათლების ქსელში კომუნისტების ჩაბმის მხრივ უსათუოდ მოგვეპოვება მიღწევები. მაგრამ აღსანიშნავია, რომ პარტიული ორგანიზაციების ზოგიერთი ხელმძღვანელი დაკმაყოფილდა კომუნისტების მხოლოდ რიცხობრივი ჩაბმით ამის შედეგად ბევრგან პარტსწავლების ხარისხი დამაკმაყოფილებელი არაა. ადგილებზე ნაკლებად ზრუნავენ იმაზე, თუ რა მომზადებით მიდის პროპაგანდისტი მეცადინეობაზე, როგორ ამუშავებენ პარტიის წევრები გავლილ მასალას და სხვა.

პარტიული სწავლების ხარისხისადმი უყურადღებობის შედეგად ზოგან ვხვდებით მტრული იდეოლოგიის გაპარებას. პარტიულმა ორგანიზაციებმა პარტმუშაობის ამ ერთერთ მთავარ უბანს — პარტიული პროპაგანდის საქმეს — განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს. ეს პარტიული მუშაობის ის უბანია სადაც ყალიბდება პარტიულის შეგნება. არ შეიძლება ითქვას, თითქოს შეგნება მარტო სკოლაში ყალიბდებოდეს. მაგრამ ეს მუშაობა მარქსიზმის საფუძვლების ჩვენი პარტიის პოლიტიკის შესწავლისათვის, წარმოადგენს ერთერთ უმნიშვნელოვანეს საქმეს და იგი უნდა დავაყენოთ პარტიულ ორგანიზაციების მუშაობის ცენტრში.

პროპაგანდისტი წამყვან როლს თამაშობს პარტიული სწავლების საქმეში. ამ პროპაგანდისტთა შერჩევას და მათთან მუშაობას ზოგიერთი რაიონული კომიტეტი (ბაღდათი, ხული, ტყიბული) საკმაო ყურადღებას არ აქცევს; საპროპაგანდისტო მუშაობაზე შეუფერებელი პირები ჰყავთ; ზოგან (ზუგდიდი, თელავი) პარტპროპაგანდისტებად კომკავშირელები არიან, რაც ყოვლად დაუშვებელია. პროპსემინარების მუშაობაც, ტფილისის, ბათომის და ქუთაისის რაიონების გამოკლებით თავის სიმაღლეზე არ დგას.

პროპსემინარების ნორმალურ მუშაობას და პარტკაბინეტების კვალიფიციური კადრებით განმტკიცებას პარტიის რაიონულმა კომიტეტებმა სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციონ.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა თავის დადგენილებაში აღნიშნა აგრეთვე კომკავშირის პოლიტსწავლების არა დამაკმაყოფილებელი დაყენება, რაც იმის შედეგია, რომ ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები საკმაო ყურადღებას არ აქცევენ კომკავშირის პოლიტსწავლებას. ეს მაშინ, როდესაც კომკავშირისადმი პარტიული ხელმძღვანელობის ერთერთი მთავარი ამოცანა არის კომკავშირის პოლიტსწავლების სათანადო დაყენება და მასზე ყოველდღიური ხელმძღვანელობის განხორციელება.

პარტიული სწავლების მაღალი ხარისხისათვის ბრძოლა უნდა გადაიქცეს თვითეული პარტიული ორგანიზაციის საბრძოლო ამოცანად.

პარტიული ორგანიზაციების ამოცანაა შეაიარაღონ თვითეული კომუნისტი მარქს-ენგელს-ლენინის სტალინის თეორიით. გააძლიერონ რევოლუციური სიფხიზლე, რათა შეეძლოთ მათ შენიღბული კლასობრივი მტრის უკეთ გამოცნობა და მისი საბოლოო განადგურება

საფრანგეთ-იტალიის შეთანხმება მიღწეულია

პარიზი, 6 იანვარი. „პარი-სუარი" რომიდან იუწყება, რომ ლავალის და მუსოლინის მოლაპარაკების შედეგად მიღწეულია საფრანგეთ-იტალიის შეთანხმება. საფრანგეთი და იტალია კისრულობენ ვალდებულებას შეთანხმდნენ საერთო ღონისძიებათა შესახებ იმ შემთხვევაში, თუ ავსტრიის დამოუკიდებლობისათვის წარმოიშობა ახალი საფრთხე. ისინი წინადადებას მისცემენ ავსტრიის მოსაზღვრე ყველა ქვეყანას ხელი მოაწერონ პაქტს ავსტრიის დამოუკიდებლობის გარანტიის შესახებ შემდეგში პოლონეთსა და რუმინეთსაც მიეცემათ წინადადება. შეუერთდნენ ამ პაქტს ავსტრიის მოსაზღვრე ქვეყნებს წინადადება მიეცემათ დასდონ პაქტი საზღვრების ურთიერთ ხელშეუხებლობისა და პაქტის თვითეული მონაწილის შინაურ საქმეებში ჩაურევლობის შესახებ (ტას).

რომი, 7 იანვარი. საფრანგეთ-იტალიის მოლაპარაკება დამთავრდა შეთანხმების დადებით. სპეციალურ ინფორმაციაში ნათქვამია, რომ შეთანხმება მიღწეულია როგორც საერთო პოლიტიკის საკითხებზე, ისე იმ კოლონიალურ საკითხებზე, რომლებიც აინტერესებს საფრანგეთს და იტალიას.

საფრანგეთ-იტალიის ოქმებს ხელს მოაწერენ დღეს. გერმანიას, უნგრეთს, ჩეხოსლოვაკიას, სამხრეთ-სლავიას, პოლონეთს და რუმინეთს წინადადება მიეცემათ შეუერთდნენ საფრანგეთ-იტალიის საკონსულტაციო პაქტს, რომელიც ითვალისწინებს სახელმწიფოთა ურთიერთ კონსულტაციას იმ შემთხვევაში, თუ რაიმე საფრთხე შეიქმნა ავსტრიის დამოუკიდებლობისა ან ტერიტორიალური მთლიანობისათვის.

პარიზი, 7 დეკემბერი. რომიდან მიღებული ცნობებით, საფრანგეთ-იტალიის შეთანხმებას ხელს მოაწერენ დღეს, საღამოთი ან ხვალ. მთელი რიგი გაზეთები აღნიშნავენ, რომ უკანასკნელ მომენტში იტალიელებმა წამოაყენეს გაორკეცებული და გასამკეცებული მოთხოვნები, განსაკუთრებით აფრიკის საკითხებზე, რომლებიც უკვე გადაჭრილად ითვლებოდა, როგორც „პარი მიდი" იტყობინება. შეთანხმდნენ, რომ ლივიის საზღვრები შესწორდება იმგვარად, რომ იტალიას ჩამოუჭრიან 120 ათას კვ. კილომეტრ ტერიტორიას. ლავალი თითქოს დასთანხმდა იმაზედაც, რომ იტალიის განსაკუთრებული უფლებები ტუნისში გაგრძელებულია 50 წლით. რაც შეეხება სომალის და საფრანგეთის მიწებს მეწამულ ზღვასთან, აქ იტალიის მოთხოვნები საგრძნობლად შემცირებულია.

პერტინაქსი „ეკო დეპარიში" აყენებს საკითხს: შეთანხმების მისაღწევად საჭირო ხომ არ გახდა საფრანგეთის 17 აპრილის ნოტის განწირვა და გზის გახსნა ინგლისის 27 იანვრის მემორანდუმის (ეს მემორანდუმი შეიცავს განიარაღების კონვენციის პროექტს) იდეისათვის, ისე, როგორც „ოთხთა პაქტისთვის"? აკრიტიკებს რა საფრანგეთ-იტალიის შეთანხმებას, პერტინაქსი „ეკო დეპარის" გუშინდელ ნომერში წერს, რომ იგი გერმანიამ უნგრეთმა და პოლონეთმა შეიძლება დაუპირისპირონ ურთიერთ დახმარების ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის პაქტს. პერტინაქსი პირდაპირ აყენებს საკითხს: „შეიძლება თუ არა საფრანგეთ-იტალიის ამ ოქმის შეთავსება საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის 5 დეკემბრის ოქმთან? ჩვენ ვკმაყოფილდებით იმით, რომ ვაყენებთ ამ კითხვას" (ტას).

საფრანგეთის დელეგაცია უარყოფს

პარიზი, 6 იანვარი, ჰავასის სააგენტო რომიდან იუწყება, რომ საფრანგეთის დელეგაცია რომში ოფიციალურად უარყოფს უცხოეთის წყაროებიდან მიღებულ ცნობებს, რომლის თანახმად საფრანგეთი, დაამთავრებს რა მოლაპარაკებას რომში, მისცემს იტალიას მოქმედების თავისუფლებას აბისინიის წინააღმდეგ წარმოებულ ომში (ტას).

საფრანგეთ-იტალიის ოქმები

ლონდონი, 7 იანვარი როგორც რეიტერის სააგენტოს რომიდან ატყობინებენ, იქ ხელი მოაწერეს საფრანგეთ-იტალიის ოთხ ოქმს.

პირველი შეიცავს განცხადებას, რომ საფრანგეთს და იტალიას აქვთ საერთო შეხედულებები საზოგადო პოლიტიკის ძირითად პრობლემებზე.

მეორე—საერთო რეკომენდაციას ყოფილ ავსტრია-უნგრეთის იმპერიის შემადგენლობაში შემავალ ქვეყნებისა და მათი მეზობლებისათვის — დასდონ კონვენცია საზღვრების და ინტერვენციაზე უარისთქმის შესახებ.

მესამე — პაქტს, რომლის თანახმად საფრანგეთი და იტალია კისრულობენ ვალდებულებას ითათბირონ ერთმანეთთან ავსტრიის დამოუკიდებლობისათვის მუქარის შექმნის შემთხვევაში, ამასთან გერმანიას, უნგრეთს, ჩეხო-სლოვაკიას, სამხრეთ-სლავიას, პოლონეთს და რუმინეთს წინადადება მიეცემათ შეუერთდნენ ამ პაქტს და

მეოთხე—კონვენციას, რომელიც აწესრიგებს ჩრდილოეთ აფრიკაში არსებულ სამფლობელოებთან დაკავშირებულ პრობლემებს (ტას).

პარიზი, 7 იანვარი. როგორც „პარი სუარი" იტყობინება, რომში ხელი მოაწერეს ოქმს, რომელშიც საფრანგეთის და იტალიის მთავრობები განმარტავენ რა 5 სახელმწიფოს 1932 წლის 11 დეკემბრის დეკლარაციას „შეიარაღებაში გერმანიის უფლებათა თანასწორობის" შესახებ, აცხადებენ, რომ გერმანიის შეიარაღებას უკანონოდ სთვლიან. სანამ ამ საკითხზე არ დაიდება სპეციალური შეთანხმება გერმანიასა და დიდ სახელმწიფოებს შორის.

გაზეთის აზრით, ეს დოკუმენტი ამტკიცებს, რომ „გადადგმულია მნიშვნელოვანი ნაბიჯები საფრანგეთის და იტალიის თვალსაზრისების დასაახლოვებლად, რომლებიც ჟენევაში ასე მკაფიოდ დაუპირისპირდა ერთიმეორეს. მეორე მხრივ, ოქმის თვით შინაარსი მოწმობს, რომ მუსოლინი და ლავალი პრინციპულად თანახმანი არიან დაიწყონ უახლოეს მომავალში მოლაპარაკება გერმანიასთან (ტას).

ლონდონი. 7 იანვარი პრესის გადმოცემით საფრანგეთ-იტალიას შორის რომში ხელმოწერილ 4 ოქმიდან დაუყოვნებლივ გამოქვეყნდება მხოლოდ პირველი რომელიც შეიცავს განცხადებას, რომ იტალიას და საფრანგეთს საერთო შეხედულებები აქვთ საერთაშორისო პოლიტიკის ძირითად პრობლემებზე. ყველა გაზეთი აღნიშნავს, რომ შეთანხმებას კოლონიალური სამფლობელოთა საკითხზე წინ უძღოდა ხანგრძლივი ვაჭრობა.

„დეილი ტელეგრაფის" რომელი კორესპონდენტის სიტყვით, იტალია დიდ მნიშვნელობას აკუთვნებს საფრანგეთთან შეთანხმებას. ფიქრობენ, რომ „ეს ორივე ქვეყანას მისცემს შესაძლებლობას შექმნან ერთიანი ფრონტი გერმანიის წინააღმდეგ, თუ საარის პლებისციტი სიძნელეებს გამოიწვევს", და რომ ამ პლებისციტს შედეგად მოჰყვება საფრანგეთ-იტალია-ინგლისის კონკრეტული შეთანხმება ევროპაში საერთო მოქმედების შესახებ.

გაზეთები ფრთხილად აფასებენ საფრანგეთ-იტალიის შეთანხმებებს.

„დეილი მეილი", გერმანიის მიმართ თავის მკვეთრად გამოხატულ სიმპატიებთან შეფარდებით, აცხადებს, რომ ინგლისი არავითარ შემთხვევაში არ უნდა შეუერთდეს შეთანხმებებს, რომლებიც ავსტრიის მომავალს ეხება. რეიტერის სააგენტოს ბერლინელი კორესპონდენტის გადმოცემით, გერმანიის მთავრობის წარმომადგენლებს ფრიად თავშეკავებული პოზიცია უკავიათ რომის შეთანხმებათა მიმართ ისინი აცხადებენ, რომ გერმანიამ გულდასმით უნდა შეისწავლოს დასახელებული პაქტი სანამ გადაწყვეტდეს მასთან შეერთების საკითხს კორესპონდენტის სიტყვით, ბერლინი ერთგვარი შეშფოთებით ადევნებს თვალყურს ინგლისის პოზიციას (ტას).

ოფიციალური ცნობა საფრანგეთ-იტალიის მოლაპარაკების დამთავრების შესახებ

რომი, 7 იანვარი. დღეს, საღამოს ვენეციურ სასახლეში იტალიის მთავრობის მეთაურმა მუსოლინიმ და საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლავალმა ხელი მოაწერეს საფრანგეთ-იტალიის შეთანხმებას, შეთანხმების ტექსტები არ გამოქვეყნებიათ. გამოქვეყნებულ იქნა მხოლოდ შემდეგი ოფიციალური ცნობა:

„იტალიის მთავრობის მეთაურმა და საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა დაამთავრეს საფრანგეთ-იტალიის მოლაპარაკება; მათ ხელი მოაწერეს შეთანხმებებს, რომლებიც ეხება ორივე ქვეყნის ინტერესებს და აფრიკას, აგრეთვე აქტებს, რომლებიც ადასტურებენ მათი მთავრობების საერთო შეხედულებებს ევროპული ხასიათის საკითხებზე მათ აღნიშნეს ორივე მთავრობის თანხმობა იმის შესახებ, რომ საჭიროა მრავალმხრივი შეთანხმება ცენტრალური ევროპის საკითხებზე. მათ შორის მიღწეულ იქნა შეთანხმება იმაზე, რომ მათ მიერ მიღებული საფუძვლები შესაძლო მოკლე ვადაში წარდგენილ იქნას დაინტერესებული ქვეყნების განსახილველად. ამას გარდა, ისინი შეთანხმდნენ ასეთი შეთანხმების დადებამდე, ერთად და ამ შეთანხმების საფუძველზე განიხილონ ყველა ღონისძიება, რომლებიც შეიძლება მოითხოვოს გარემოებამ".

დიპლომატიური დოკუმენტების ხელმოწერის შემდეგ მუსოლინიმ და ლავალმა მიიღეს საფრანგეთის და იტალიის პრესის წარმომადგენლები და მიმართეს მათ განცხადებით. თავის განცხადებაში მუსოლინიმ აღნიშნა, რომ განსახილველი იყო ორი კატეგორიის საკითხები: პირველი—საკუთრივ საფრანგეთ-იტალიის საკითხები და მეორე—საკითხები, რომლებიც ეხება საერთო ხასიათის პრობლემებს, ე. ი. ევროპის და, მაშასადამე, საერთაშორისო საკითხები შეუძლებელი იყო მნიშვნელოვანი და მტკიცე შეთანხმების მიღწევა,—სთქვა მუსოლინიმ,—ჩვენ, რომ ისინი დაგვედო მხოლოდ საერთო საკითხებზე, ხოლო საფრანგეთ-იტალიის საკითხები დაგვეტოვებია გადაუჭრელი მეორეს მხრივ, უსარგებლო იქნებოდა ამ უკანასკნელი საკითხების გადაჭრა, თუ დარჩებოდა უთანხმოებანი საერთო ხასიათის საკითხებზე.

„ჩვენ—სთქვა მუსოლინიმ—შევუდექით მუშაობას მტკიცე განზრახვით მიგვეღწია სრული შეთანხმებისათვის, როგორც საერთო ხასიათის საკითხებზე, ისე საფრანგეთ-იტალიის საკითხებზედაც და ჩვენ ამას მივაღწიეთ. ამან მოითხოვა ხანგრძლივი დელიკატური, მაგრამ აბსოლუტურად აუცილებელი მოსამზადებელი მუშაობა. ბუნებრივია, რომ ეს შეთანხმებანი, როგორც, სხვათაშორის, ყოველგვარი შეთანხმება, წარმოადგენს ორივე ქვეყნის დამაკმაყოფილებელ ნებაყოფლობით გარიგებას საწინააღმდეგო პოზიციებს შორის.

ევროპის თანამშრომლობის საკითხზე მუსოლინიმ განაცხადა: „ამ დარგში ჩვენ მივაღწიეთ იმას, რომ ხელი მოვაწერეთ შეთანხმებებს, რომლებშიც გარკვეულია საფრანგეთ-იტალიის საერთო პოზიცია შესაძლო შემთხვევათა მიმართ.

ამას დიდი მნიშვნელობა აქვს, მე საჭიროდ არ მიმაჩნია მივმართო მჭერმეტყველობას, რათა ხაზი გავუსვა ამ შეთანხმების განსაკუთრებულ მნიშვნელობას, რომელიც აწესებს ორივე ქვეყნის საერთო მოქმედების ხაზს. როგორც ლავალმა სთქვა, საფრანგეთ-იტალიის შეთანხმება—საერთო ხასიათისა— არ შეიცავს არცერთ პუნქტს, რომელიც მიმართული იყოს ვისიმე წინააღმდეგ. იგი დადებულია იმ იმედით, რომ ხელს შეუწყობს ევროპის ცხოვრების ჰორიზონტის გაფართოებას იმისათვის, რომ გამოგვიყვანოს მძიმე მდგომარეობიდან, რომელშიაც ხალხები უკვე დიდი ხანია ჩავარდნილი არიან. ამასთანავე დასკვნითი დეკლარაციის აზრი ნათელია, ახლა საჭიროა აღმოვფხვრათ ის საშიშროება, რომელიც მუდამ გამომდინარეობს გადაჭარბებული ოპტიმიზმიდან. არ უნდა ვიფიქროთ, რომ უკვე ყველაფერი გაკეთებულია და რომ გასაკეთებელი არაფერი დარჩა. არა, მეგობრობაც კი საჭიროებს მუდმივ მოვლას იმისათვის, რომ იგი გაიზარდოს ხალხთა და მათ ინტერესთა ბუნებრივ განვითარებასთან პარალელურად. მეგობრობა არ უნდა გადაიქცეს დიპლომატიური ოქმების მუმიად, არამედ იგი ფეხდაფეხ უნდა მიჰყვებოდეს ცხოვრებას".

ლავალის განცხადებაში ნათქვამია: „ჩვენ მიერ ხელმოწერილი შეთანხმება აფრიკის საკითხებზე, იმედი მაქვს, ყველას მიერ სამართლიანად კეთილგანწყობილებით იქნება მიღებული, მუსოლინი და მე ვცდილობდით გვეპოვა ერთნაირი გაგება გადაწყვეტის ძიების დროს ამ დელიკატურ საკითხებში, რომლებიც დიდხანს იყო გადადებული, არც ერთ ჩვენთაგანს არავითარი მსხვერპლი არ გაუღია ჩვენი საარსებო ინტერესებიდან ამგვარად, ერთი და მეორე მხრითაც ჩვენ აღმოვფხვარით ის დაბრკოლებანი, რომლებიც ძალიან დიდხანს აძნელებდენ ჩვენი მთავრობების საჭირო თანამშრომლობას. ამ მომენტიდან დაწყებული, ჩვენ შევძლებთ, ყოველგვარი ფარული აზრების გარეშე, ურთიერთ ნდობის ატმოსფეროში, თავისუფლად განვიხილოთ ყველა პრობლემა, რომლებიც იპყრობენ ყურადღებას ყველა მთავრობისა, რომლებიც ზრუნავენ ევროპის წესრიგის შენარჩუნებაზე. ამგვარად, ჩვენ მივაღწიეთ ჩვენი თვალსაზრისის შეთანხმებას იმ პოლიტიკის შესახებ, რომელიც ცენტრალურ ევროპაში ტარდება, და ჩვენ მიერ ხელმოწერილი ოქმი შევა ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი დიპლომატიური აქტების რიცხვში.

და მართლაც, ჩვენ გადავსწყვიტეთ არაფერი არ დაგვეზოგა იმისათვის, რომ კონვენციები, რომლებიც ჩვენ გავითვალისწინეთ, გადაქცეულიყვნენ რეალობად. ჩვენ გავაადვილეთ ყველა დაინტერესებული ქვეყნის ამოცანა იმით, რომ ჩვენი მოლაპარაკების დროს ვხელმძღვანელობდით მიუდგომლობის და ობიექტიურობის პრინციპით. პოლიტიკა, რომელსაც ჩვენ ჩავუყარეთ საფუძვლები, არავის წინააღმდეგ არ არის მიმართული. იგი საშუალებას აძლევს ყველა მთავრობას მორალური თანასწორობის იმავე გეგმაში გაერთიანდნენ ისეთი საქმისათვის, რომლის ძირითადი ამოცანაა მშვიდობიანობის ორგანიზაცია, მე მტკიცე იმედი მაქვს, რომ ჩვენი მოწოდება მიღებული იქნება. თავის შეერთებით დაინტერესებული მთავრობები განახორციელებენ თავის სამშვიდობო მისწრაფებებს. ჩვენ შეხვედრებს ექნება სხვა ბედნიერი შედეგიც, ისინი გაადვილებენ დაახლოვებას ყველა იმათ შორის, ვისი თანამშრომლობაც საჭიროა მშვიდობიანობის შენარჩუნებისათვის. მე საფრანგეთის სახელით უდიდესი კმაყოფილებით მოვაწერე ხელი იტალიის ხელმოწერის გვერდით. ეჭვს გარეშეა, რომ ამოცანა ჯერ კიდევ არ არის გადაჭრილი, ვინაიდან მშვიდობიანობის საქმე მოითხოვს მოთმინებას და შეუპოვრობას" (ტას).

ამიერ-კავკასიის საბჭოების VII ყრილობა

გაიხსნება 15 იანვარს ქ. ტფილისში

ყრილობის დღის წესრიგი:

1. ა.-კ. ს.ფ.ს. რესპუბლიკის მთავრობის ანგარიში (მომხსენებელი ამხ გ. მუსაბეკოვი).
2. სოციალისტური მეცხოველეობის განვითარების შესახებ (მომხსენებელი ამხ. დ. ბუნიატ-ზადე).
3. ა.-კ. ს.ფ.ს. რესპუბლიკის საგზაო მშენებლობის გაუმჯობესების შესახებ — (მომხსენებელი ამხ. ნ. ილიუშინი).
4. მოხსენება საკონსტიტუციო საკითხებზე — (მომხსენებელი ამხ ს. თოდრია).
5. ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის არჩევა.
6. საბჭოების VII საკავშირო ყრილობის დელეგატების არჩევნები.

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის
მდივანი ს. თოდრია

მოსკოვის ოლქის საბჭოების ყრილობის მისალმება
საკ. კ. პ. (ბ) ც. კ.—ამხანაგ სტალინს

ძვირფასო ამხანაგო სტალინ!

ჩვენ, საბჭოების მესამე საოლქო ყრილობის დელეგატები, მოსკოვის ოლქის 12 მილიონი მშრომელის სახელით მოგესალმებით შენ— ჩვენს დიდ ბელადს, მეგობარს და მასწავლებელს.

იზრდება და მტკიცდება მუშათა და გლეხთა მძლე ხელისუფლება—საბჭოების ხელისუფლება. მშრომელთა მასების პოლიტიკურმა ზრდამ განსაკუთრებული სიცხადით იჩინა თავი საბჭოების არჩევნებში.

ჩვენი ოლქის მუშებმა, კოლმეურნეებმა და ყველა მშრომელმა, როცა ისინი ირჩევდენ საბჭოების დეპუტატებს, ყრილობის დელეგატებს მათ ერთი დაურღვეველი განაწესი მისცეს: თავგამოდებით, თანმიმდევრულად, შენი ფოლადისებური ხელმძღვანელობით, გაატარონ ბოლშევიკების კომუნისტური პარტიის პოლიტიკა განაგრძონ საბჭოთა ხელისუფლების ძლიერების განმტკიცების საქმე, გააძლიერონ ჩვენი რევოლუციური სიფხიზლე, დაუზოგავად ებრძოლონ პარტიისა და მუშათა კლასის მტრებს, ჰყველგან მთლიანად და ვადაზე შეასრულონ მეორე ხუთწლედის დიდი გეგმები.

სიამაყით ავსებს ჩვენ გულს სოციალიზმის გრანდიოზული გამარჯვებანი რომლებსაც საბჭოთა კავშირმა მიაღწია შენი, ამხანაგო სტალინ, ხელმძღვანელობით. ამ გამარჯვებით სამართლიანად ამაყობს მთელი მსოფლიოს პროლეტარები და მშრომელები. მათ თვალსაჩინოდ დაანახვეს ჩვენი სამშობლოს ყოველ მოქალაქეს, რომ ქვეყანა უძლეველია, როცა მას ხელმძღვანელობს ლენინ-სტალინის პარტია, პარტია, რომელმაც იცის—საით წაიყვანოს საქმე, და რომელსაც არ ეშინია სიძნელეების.

შენი ყოველდღიური ყურადღების და ხელმძღვანელობის მეოხებით. ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი მოსკოვი ხდება სანიმუშო და არქიტექტურულ ნაგებობათა მხრივ ულამაზესი, დიდი საბჭოთა კავშირის შესაფერისი დედაქალაქი.

შენი ბრძნული მითითებების განხორციელების გზით. ჩვენი ოლქის კოლმეურნეობანი განუზომელად მოღონიერდენ და მტკიცედ მიდიან შეძლებული ცხოვრების გზით.

შენი ექვსი ისტორიული მითითების საფუძველზე თავისი მუშაობის გარდაქმნის გზით, ქალაქ მოსკოვის და მისი ოლქის მრეწველობამ მთლიანად შეასრულა მეორე ხუთწლედის მეორე წლის გეგმა.

დღითიდღე იზრდება მშრომელი მასების კეთილდღეობა. ც. კ-ის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილება პურსა და მთელ რიგ სხვა პროდუქტებზე ბარათების გაუქმების შესახებ, პურის ფართო ვაჭრობა ყველა სახელმწიფო მაღაზიაში—საუკეთესოდ მოწმობს ჩვენი დიდი ქვეყნის უზარმაზარ ზრდას და ბოლშევიკური პარტიის ყოველდღიურ ზრუნვას ყველა მშრომელის მატერიალური დონის შემდგომ გაუმჯობესებაზე.

გეფიცებით შენ, ძვირფასო ამხანაგო **სტალინ**, რომ საბჭოები— პარტიის გენერალური ხაზის გამტარებლები — შემდეგშიც დაუზოგავად იბრძოლებენ პროლეტარული დიქტატურის აშკარა და ფარული კლასობრივი მტრების წინააღმდეგ. სამშობლოს მოღალატეების — ზინოვიევური კონტრრევოლუციური ჯგუფის ნაძირალების საზიზღარ დანაშაულზე, რომელთაც ვერაგულად მოკლეს ჩვენი ქვეყნის ერთერთი საუკეთესო შვილი და შენი საუკეთესო თანამებრძოლი და მეგობარი სერგეი მირონისძე **კიროვი**,—ჩვენ ვუპასუხებთ მუშათა კლასის ყველა მტრის საბოლოო აღმოფხვრით.

გარწმუნებთ შენ, ძვირფასო ამხანაგო **სტალინ**, რომ საბჭოს ყოველი დეპუტატი გააძლიერებს საბჭოების კავშირს მასებთან, შემდეგშიც განამტკიცებს ჩვენი დიდი პროლეტარული სამშობლოს ძლიერებას.

შენი უშუალო ხელმძღვანელობით. მოსკოვის ოლქზე შენი მუდმივი ზრუნვით აღფრთოვანებულნი, ჩვენ, საბჭოების მესამე საოლქო ყრილობის დელეგატები, ფიცს ვსდებთ—მთელი ჩვენი ძალღონე მოვანდომოთ ბრძოლას იმისათვის, რომ გადავაქციოთ თვითეული ჩვენი საქალაქო, საუბნო და სასოფლო საბჭო დედაქალაქის ოლქის შესაფერის საბჭოდ.

გაუმარჯოს საბჭოების დიად ქვეყანას და ჩვენს მუშურ-გლეხურ ხელისუფლებას!

გაუმარჯოს **ლენინ-სტალინის** ჩვენს მშობლიურ, შეუდრეკელ პარტიას და მის ცენტრალურ კომიტეტს!

გაუმარჯოს იმას, ვისი გენიამაც მიგვიყვანა ჩვენ უმაგალითო წარმატებებამდე — საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებათა დიდ ორგანიზატორს, საყვარელ ბელადს, მეგობარს და მასწავლებელს—ამხანაგ **სტალინს!**

დაიხურა აფხაზეთის საბჭოების ყრილობა

სოხუმი, 8 იანვარი. 7 იანვარს ღამით დაიხურა აფხაზეთის საბჭოების მე-7 ყრილობა. აფხაზეთის ცაკის პირველ წევრად მქუხარე ოვაციებით არჩეულ იქნა ამხ. სტალინი. მეორე წევრად —ამხ. ბერია. პრეზიდიუმი დამტკიცებულია 21 ამხანაგის შემადგენლობით ცაკის და სახალხო კომისარიატების ხელმძღვანელებად ერთხმად დამტკიცეს: ცაკის თავმჯდომარედ —ამხ ლაკობა. ცაკის თავმჯდომარის პირველ მოადგილედ—ამხ ლაგვილავა. მეორე მოადგილედ—ამხ. პეტროსიანი. ცაკის მდივნად—ამხ. გრიგოლოვი, მიწსახკომად—ამხ. ჩოლმაზი, განსახკომად—ამხ. ზანთარია. იუსტიციის სახ. კომისრად—ამხ. ტარბა, ჯანსახკომად—ამხ. აჩბაძე, ადგილობრივი მრეწველობის სახ. კომისრად —ამხ. სიმერჯიევი, ვაჭრობის სახ. კომისრად —ამხ. პაპოვიდი. შინაგან საქმეთა სახ. კომისრად—ამხ. აბშარი.

ყრილობის დახურვის წინ ამხ. ლაკობამ მოუწოდა ცაკის ახალ შემადგენლობას ბოლშევიკურად. სტალინურად იბრძოლოს პარტიის პოლიტიკის ცხოვრებაში გატარებისათვის (ტას).

საქართველოს ალკკ ც. კ. მე-6 პლენუმი

საინფორმაციო ცნობა

8 იანვარს, საღამოს შესდგა საქ. ალკკ მე-11 მოწვევის ცენტრალური კომიტეტის მე-6 პლენუმი.

პლენუმმა განიხილა ამხ. გიორგობიანის მოხსენება საქართველოს კომკავშირის ორგანიზაციაში მარქსისტულ-ლენინური სწავლების მდგომარეობის შესახებ.

პლენუმმა მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა საკ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტის და საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მდივანს ამხ. ლ. ბერიას.

ამხ. გ. გიორგობიანის საკ. ალკკ სამხარეო კომიტეტის პირველ მდივნად არჩევის გამო, პლენუმმა გაათავისუფლა იგი საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის მოვალეობისაგან.

პლენუმმა ცენტრალური კომიტეტის მდივნის მოვალეობისაგან გაათავისუფლა აგრეთვე ამხ. შახბატიანი, მისი სომხეთის ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად არჩევის გამო.

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად პლენუმმა ერთხმად აირჩია ამხ. აკაკი მგელაძე.

საქართველოს ალკკ ც. კ-ის მეორე მდივნად პლენუმმა აირჩია ამხ. ხვედრიანე გოგუაძე.

პლენუმმა აირჩია საქ. ალკკ ც. კ-ის ბიურო შემდეგი შემადგენლობით: ამხ. ვ. აქრაძე (საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მდივანი), გ. გიორგობიანი, ა. მგელაძე, ხ. გოგუაძე, ნ. მაისურაძე, ქ. შენგელია, ა. გველესიანი, ა. ჭანტურია, ვ. დევაძე. (ტას).

მწერალი შოლოხოვი დანიაში

სტოკჰოლმი, 5 იანვარი დანიის „საბჭოთა კავშირთან დაახლოვების საზოგადოებამ" 3 იანვარს მოაწყო კოპენჰაგენში მწერლის ამხ. შოლოხოვის მოხსენება თანამედროვე საბჭოთა ლიტერატურის შესახებ. მოხსენება დიდის წარმატებით ჩატარდა.

დანიის ცნობილი მწერალი ანდერსენ — ნექსე, რომელიც სიტყვით გამოვიდა, მიესალმა ამხ. შოლოხოვს როგორც „დიდი საბჭოთა ქვეყნის ლიტერატურის წარმომადგენელს".

საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა დანიაში ამხ. ტიხმენევმა ამხ. შოლოხოვის პატივსაცემად მოაწყო დარბაზობა, რომელსაც დაესწრნენ დანიის ლიტერატურული, სამხატვრო, თეატრალური და სამეცნიერო წრეების წარმომადგენლები (ტას).

ომი ბოლივიასა და პარაგვაის შორის.
გრანდ ჩაკოში დაჭრილი ბოლივიელი ჯარისკაცები ფრონტიდან ევაკუაციის მოლოდინში.

ორი დემონსტრაცია

პარიზი, 7 იანვარი, გუშინ საარბრიუკენში პლებისციტისათვის მზადების წესით გამართა ორი დემონსტრაცია: ანტიფაშისტური და ფაშისტური. მიუხედავად იმისა, რომ პოლიცია და ფაშისტები ყოველნაირად ცდილობდენ ჩაეშალათ ანტიფაშისტური დემონსტრაცია, ამ უკანასკნელს ორჯერ მეტი ხალხი დაესწრო, ვიდრე ფაშისტურ დემონსტრაციას.

ფაშისტების მიტინგს წმინდა სამხედრო პარადის ხასიათი ჰქონდა, მისი მონაწილეები წმინდა სამხედრო დისციპლინას იცავდენ.

სულ სხვანაირი სახე ჰქონდა ანტიფაშისტურ დემონსტრაციას, რომელიც მოაწყო „თავისუფლების სახალხო ფრონტმა" და რომელსაც 150 ათასი კაცი დაესწრო. პოლიციამ და ხელისუფლებამ ყოველივე ზომები მიიღეს, რათა ხელი შეეშალათ მისი წარმატებისათვის.

ფაშისტური ტერორის მსხვერპლთა გლოვის ნიშნად მოეწყო დემონსტრაცია დახრილი დროშებით. მიტინგის მონაწილეებმა დასდევს თავისუფალი საარის ფიცი, რომლის შინაარსი შემდეგია:

> „ჩვენ, საარელები, განურჩევლად პარტიისა და რელიგიისა, ვფიცავთ, მთლიან ფრონტს და ვფიცავთ, რომ ვიბრძოლებთ თავისუფალი გერმანიისათვის ბარბაროსობის, მკვლელობის და ომის წინააღმდეგ".

მიტინგის შემდეგ გაიმართა ანტიფაშისტური დემონსტრაცია, ტროტუარებზე მდგომი ფაშისტები, არამც თუ ვერ ბედავდენ შეტაკების დაწყებას, არამედ ერიდებოდენ ყოველგვარ წამოძახილსაც კი, ვინაიდან უპირატესობა აშკარად ანტიფაშისტების მხარეზე იყო. რომელთა შორის სჭარბობდენ [illegible] და ლითონის მუშები (ტას).

ჩეხოსლოვაკიის პრესა ამხ. ლიტვინოვის სიტყვის შესახებ

პრაღა, 6 იანვარი. ყველა გაზეთი დაწვრილებით მოჰყავს ამხ. ლიტვინოვის სიტყვა, წარმოთქმული ჩეხო-სლოვაკიის ჟურნალისტების მიღებაზე. გაზეთები ამ სიტყვას ათავსებენ სათაურებით: „ერთად მშვიდობიანობისათვის", „ორი კეთილი მეგობარი შეთანხმებული მუშაობის შესახებ".

„ჩესკოე სლოვო" განსაკუთრებით გამოყოფს ამხ. ლიტვინოვის სიტყვის იმ ადგილს, სადაც იგი რევიზიონიზმის წინააღმდეგ ილაშქრებს, და წერს, რომ ჩეხოსლოვაკიის მოსახლეობა ცოტას წაიკითხავს განცხადებებს ასეთი გაგებით. როგორც ამხ. ლიტვინოვის სიტყვას ამ სიტყვაში,—აღნიშნავს გაზეთი,—არის თითქმის ყველაფერი, რასაც კი ჩვენ დიდი ხანია მოველოდით, რადგან ყოველთვის იმედი გვქონდა, რომ ეს უნდა მოხდეს განკერძოების და ტერორის მოსპობის შემდეგ, რომლებიც ჩვენ გვყოფენ. ჩვენი საზოგადოებრიობის უმეტეს ნაწილს ყოველთვის მტკიცედ სურდა ახალი წყობილების მშენებლობის წარმატება საბჭოთა კავშირში, რომელმაც ხალხს მისცა მისგან საუკუნეობით წართმეული უფლებები. ჩვენი მიზნები მეტწილად ემთხვევა ერთმანეთს, კერძოდ მშვიდობიანობის საერთო საქმეში. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ს.ს.რ.კ-ის კავშირი ჩეხო-სლოვაკიასთან ჩვენი საერთო ინტერესების საფუძველზე განუწყვეტლივ გაღრმავდება (ტას).

რეიტერის სააგენტო ბოტვინიკის თამაშის შესახებ

ლონდონი, 5 იანვარი. აფასებს რა ჰასტინგსში გამართულ საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირის შედეგებს, რეიტერის სააგენტო აღნიშნავს საბჭოთა ჩემპიონის ბოტვინიკის საუცხოო თამაშს და მიუთითებს, რომ მან მოიგო ნათამაშევი პარტიების ნახევარზე მეტი. სააგენტოს სიტყვით, „ეჭვს გარეშეა, რომ ბოტვინიკი უკეთეს შედეგებს მიაღწევს მომავალ ტურნირებში (ტას).

მოსკოვის ოლქის საბჭოების ყრილობა

მოსკოვი, 7 იანვარი მოსკოვის ოლქის საბჭოების ყრილობის 7 ნოემბრის საღამოს სხდომა დაიწყო მეტრომშენის მუშაკთა დელეგაციის მისალმებით. ყრილობა ხანგრძლივი ტაშით ხვდება მეტრომშენელთა დელეგაციას,

გადასცემს რა ყრილობას მეტროს მუშაკების სახელით მხურვალე მილოცვას ალამს ამხ. ხოლოდი აღნიშნავს, რომ მეტროპოლიტენის მშენებლობაზე, რომელიც დაიწყო ამხანაგ სტალინის ინიციატივით, ამოღებულია 2300 ათასი კუბ მეტრი ქანი და დაგებულია 850 ათასი კუბ. მეტრი ბეტონი, ამასთან მთელი ამ მუშაობის უდიდესი ნაწილი შესრულებულია განვლილ 1934 წელს.

— არსად მსოფლიოში მეტროპოლიტენებზე არ იქნება ისეთი კარგი სადგურები, როგორიც ჩვენთან მოსკოვში

— მეტროპოლიტენის მშენებლობის წარმატებითი მსვლელობა არის ამხ ლ. მ. კაგანოვიჩის მხრივ ამ საქმის უდიდესად ცოცხალი და ოპერატიული ხელმძღვანელობის პირდაპირი შედეგი.

ყრილობამ განსაკუთრებით გულთბილად დაალოცა მეტროპოლიტენის მუშაკები.

შემდეგ თავმჯდომარე სიტყვას აძლევს ამხანაგ კუიბიშევს ს.ს.რ კავშირის მთავრობის სახელით მოხსენების გასაკეთებლად. ყველა დელეგატი ფეხზე დგება და მქუხარე ოვაციით მიესალმება ამხ. კუიბიშევს.

ვრცელ ამომწურავ მოხსენებაში, რომელიც ყრილობამ განსაკუთრებული ყურადღებით მოისმინა, ამხ. კუიბიშევმა დახატა საბჭოთა კავშირის გმირულ გამარჯვებათა სურათი საბჭოების მეექვსე საკავშირო ყრილობის შემდგომი დროის განმავლობაში.

ამხ კუიბიშევის მოხსენების დამთავრების შემდეგ, ყრილობა მქუხარე ტაშით იღებს მისალმებას ს.ს.რ.კ. ცაკის—ამხ. კალინინის და ს.ს.რ.კ-ის სახკომსაბჭოს — ამხ მოლოტოვის სახელზე.

შემდეგ ამხ. ფილატოვი საღამოს სხდომას დახურულად აცხადებს (ტას).

აკადემიკოს ნ. ი. მარის ხსოვნის უკვდავყოფა

მოსკოვი, 7 იანვარი. საბჭოთა კავშირის სამეცნიერო აკადემიის პრეზიდიუმმა განსვენებული აკადემიკოსის ნ. ი. მარის ხსოვნის უკვდავსაყოფად დაადგინა ეწოდოს მისი სახელი აკადემიის ამიერ-კავკასიის ფილიალის კავკასიის მცოდნეობის ინსტიტუტს და აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის კავკასიის მცოდნეობის კაბინეტს. საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების ინსტიტუტებში წესდება აკად. ნ. ი. მარის სახელობის ჯილდოები საუკეთესო მეცნიერული შრომებისათვის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მიერ უახლოეს დროში გამოცემული ნაშრომები მიეძღვნება აკადემიკოს მარს. (ტას).

სრულიად საქართველოს საბჭოების
მე-7 ყრილობის
დელეგატების საყურადღებოდ

სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა და წ/არმიელთა საბჭოების მე-7 ყრილობის დელეგატები მანდატებს მიიღებენ ს ცაკის შენობაში, ოთახი № 19 (ტფილისი-სასახლე).

მანდატების გაცემა იწარმოებს დილის 10 საათიდან საღამოს 5 საათამდე და საღამოს 7 საათიდან ღამის 12 საათამდე.

სამანდატო კომისია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დონის როსტოვის განთავისუფლების ხუთმეტი წლის თავი

ორიოლიდან როსტოვამდე

მოსკოვი, 7 იანვარი. დღეს სრულდება 15 წელი, რაც დონის როსტოვი განთავისუფლდა დენიკინის ბანდებისაგან. პროლეტარული რევოლუციის მტრების ურდოებზე მუშურ-გლეხური წითელი არმიის დიად გამარჯვებათა შორის როსტოვის ხელში ჩაგდებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ეს ქალაქი ორი წლის განმავლობაში წარმოადგენდა სამხრეთის კონტრ-რევოლუციის დასაყრდენს. აქედან უტევდენ ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკას თეთრგვარდიელთა ბანდები, რომელნიც სთესავდენ სიკვდილს და ნგრევას. მაგრამ მტრების ბედი დიდი ხანია წინასწარ იყო გადაწყვეტილი. უკვე 16 დღის გენერალურმა ბრძოლამ კრომის და ორიოლის რაიონში მოახდინა გენერლების მაი-მაევსკის და კუტეპოვის მოხალისეთა არმიის მარკოვის, დროზდოვის და კორნილოვის დივიზიების ნაწილთა ყველა შეტევითი ცდის ლიკვიდაცია. ამ ბრძოლამ შეარყია და გაანადგურა დენიკინის ფრონტის მარცხენა ფლანგის შეტევითი ენერგია.

წითელი კავალერიის მიერ ვორონეჟის და კასტორნის რაიონში თეთრების ორი გაერთიანებული ცხენოსანი კორპუსის (გენერლები მამონტოვი და შკურო) სასტიკად დამარცხებამ ხელი შეუწყო თეთრების შეიარაღებულ ძალთა (ცენტრის და მარჯვენა ფლანგის სწრაფად დახევას სამხრეთისაკენ. ამ წარმატებების შემდეგ სამხრეთის ფრონტის წითელი ჯარები შეუდგნენ იმ პოლიტიკური და სტრატეგიული ამოცანების შესრულებას, რომლებიც ამხ. სტალინმა დასახა დენიკინის არმიის განადგურების გეგმაში. საჭირო იყო ხარკოვ-დონეცის ბასეინ-როსტოვზე მძლავრი დარტყმით მოხალისეთა არმიის განცალკევება დონის ყაზახთა არმიისაგან და მისი დამარცხება ნაწილ-ნაწილად. სამხრეთის ფრონტის წითელი არმიების მედგარმა შეტევამ, რომელნიც ასრულებდენ ამხ. სტალინის სტრატეგიული გეგმის მეორე ნაწილს (პირველი ნაწილი იყო გენერალური ბრძოლის მოგება კრომ-ორიოლ-ვორონეჟ-კასტორნაიას რაიონში) მძლავრ ელექტრონის ნაკადად დაუარა დენიკინშჩინის მთელ სხეულს.

ტელეგრაფის აპარატები თეთრგვარდიელთა არმიების შტაბებში და უცხოელთა მისიებში დენიკინის ბანაკთან ნერვიულად აღნიშნავდენ ახალ-ახალ ქალაქებს, გამაგრებულ პოზიციებს და სამდინარო მიჯნებს, რომლებსაც ხელთ იგდებდა წითელი არმია. 7 დეკემბერს დაეცა ბელგოროდი 11-ს—ხარკოვი, 12—პოლტავა, 16-ს—კიევი, 30-ს — ეკატერინოსლავი. მრისხანედ გუგუნებდა თეთრების ტელეგრაფი.

აღსასრული გიგანტური ნაბიჯებით ახლოვდებოდა. კიევ-ხარკოვის რკინისგზის გადაჭრამ ცხადად დაანახვა მტერს, რომ წითელი არმიის შეტევა ორად აპობდა დენიკინშჩინის სხეულს, ორ ნაწილად ჰყოფდა მის არმიას, ერთ მათგანს ბიძგულებდა დაეხია უკრაინისაკენ, ჩრდილო თავრიდსა და ყირიმისაკენ, ხოლო მეორეს — აჯანყების ცეცხლში გახვეული მუშათა დონბასით—აზოვის და შავი ზღვების ნავთსადგურებისაკენ და ჩრდილოეთ-კავკასიის რაიონებში.

„ამბები უაღრესი სისწრაფით ვითარდება და ფრონტზე ჩვენთვის არახელსაყრელად შექმნილი ვითარება მრისხანე ხასიათს ღებულობს. ჩვენი ფრონტი ორად არის გაპობილი და არმიები უკან იხევენ ორჯგუფად — სამხრეთ-აღმოსავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით. აუცილებლად საჭიროა სასწრაფო გადაწყვეტილების მიღება", — წერდა მოხალისეთა არმიის სარდლად დანიშნული გენ. ვრანგელი თავის პატაკში, გენერალ დენიკინს. იგი წინადადებას იძლეოდა რაც შეიძლება მალე გაემაგრებინათ წინააღმდეგობის გასაწევი ცენტრები უკანდახეული თეთრი ჯარების ზურგში, შეეჩერებინათ წითელი არმია მდინარე დონისაკენ მიმავალ გზებზე, მტკიცედ შეენარჩუნებინათ ნოვოჩერკასკი და როსტოვი. იგი მოითხოვდა „დაუყოვნებლივ გამოეცხადებინათ მობილიზაცია დონსა, ყუბანსა და თერგში და ჯარის შესავსებად ახალ გაწვეულთა შეკრების ხელმძღვანელობა დაეკისრებინათ საკუთარი ჯარების პოპულარულ გენერლებისათვის". საჭიროა ყოველ მიზეზს გარეშე შენარჩუნებულ იქნას თეთრგვარდიელთა ნაკადი კადრები მომავალი ბრძოლისთვის, — ღაღადებდა თავის დეპეშებში გენერალი ვრანგელი.

მაგრამ სანამ დენიკინის ბანაკს პანიკა იპყრობდა, სამხრეთის ფრონტის წითელმა არმიებმა, რომელნიც ენერგიულად უტევდენ მტერს, მიაღწიეს აზოვის ზღვის ნაპირებს. მიუახლოვდენ მარიუპოლ-ტაგანროგს და 6 იანვარს წითელმა ჯარმა, დაიკავა, რა ეს ქალაქები, საბოლოოდ გააპო ორ ნაწილად თეთრების ფრონტი.

ცხენოსანთა არმია ამხ. ვოროშილოვის და ბუდიონის ხელმძღვანელობით, დონეცის ბასეინის ხელში ჩაგდების შემდეგ, მიერეკება თეთრგვარდიელებს ნახიჩევანისა და როსტოვისაკენ; ამხ. გოროდოვიკოვის მე-4 ცხენოსანმა დივიზიამ გეზი აიღო ნახიჩევანისაკენ, ამხ. ტიმოშენკოს მეექვსე ცხენოსანმა დივიზიამ — როსტოვისაკენ. დენიკინმა გასცა ბრძანება ცხენოსანთა არმიის ამ დივიზიების წინააღმდეგ როსტოვის რაიონში გადაისროლონ ოფიცერთა საუკეთესო ბატალიონები—დროზდოვის და მარკოვის დამქვრეული ბატალიონები. დენიკინს უკვე არ სჯეროდა, რომ როსტოვის რაიონი დიდხანს დარჩება თეთრგვარდიელთა ხელში, მაგრამ მისი დროებით შენარჩუნება აუცილებელია იმისათვის, რომ მიზანშეწონილად ჩატარდეს ყოველივე იმის ევაკუაცია, რისი გატანაც კი საჭიროა. როსტოვის მისასვლელებთან გაჩაღდა გაფთრებული ბრძოლა. მე-6 ცხენოსანმა დივიზიამ გმირული იერიშით 8 იანვარს საღამოს გაარღვია მოწინააღმდეგის ფრონტი და შეიჭრა ქალაქში.

პირველმა ცხენოსანმა არმიამ—წერს ამხ. ბუდიონი, — უკუაგდო მოწინააღმდეგე და როცა მისი მოწინავე ნაწილები შეიჭრნენ ქალაქ როსტოვის განაპირა რაიონებში და უკვე დაიკავეს სადგური, — ქალაქში ჯერ კიდევ არაფერი იცოდენ წითლების შემოსვლის შესახებ და ამ ნიადაგზე მრავალ ტრაგიკომიკური ინციდენტი მოხდა. ოფიცრებს, რომლებითაც სავსე იყო კაფეები და რესტორანები, წითელი არმიის მეომრები, რომლებიც იქ შედიოდენ, ეგონათ რომ თეთრი არმიის ჯარისკაცები არიანო და უხეშად უყვიროდენ და იბრძანებდენ დაუყოვნებლივ დაეტოვებინათ მათთვის შეუფერებელი ადგილი". მაგრამ ასეთი გაუგებრობა დიდხანს არ გაგრძელებულა. მთელი ღამის განმავლობაში წითელი ცხენოსანი დივიზიები ხელჩართულ ბრძოლას აწარმოებენ ოფიცერთა დარჩენილ ნაწილებთან, რომლებიც ჩასაფრებული იყვნენ ქალაქის სახლებში, და თეთრგვარდიელთა სხვა ნაწილებთან, რომლებმაც ვერ მოასწრეს გაქცევა მდინარე დონის გაღმა.

9 იანვრის საღამოსათვის ქალაქი როსტოვი და ნახიჩევანი საბოლოოდ იქნა გაწმენდილი თეთრგვარდიელებისაგან. თეთრგვარდიელთა საუკეთესო კავალერია, გენერლების მამონტოვის, შკუროს, ულაგაის ხელმძღვანელობით და დენიკინის დონის არმია საბოლოოდ იქნა დამარცხებული და მათი უბადრუკი ნაშთები გაიქცნენ სამხრეთისაკენ, სადაც თავს აფარებდენ შავი ზღვის ნავთსადგურებს. (ატს).

წარსული ბრძოლებიდან

ამხ. სტალინის და ეგოროვის დეპეშა როსტოვის აღების გამო

დონის როსტოვი, 7 იანვარი. გაზეთ „სოვეტსკი იუგის" არქივში აღმოჩენილ იქნა დაბეჭდილი დეპეშა, რომელსაც ხელს აწერენ ამხანაგები სტალინი და ეგოროვი. დეპეშა ამოღებულია ფრონტის გაზეთიდან. მასში ნათქვამია:

„ცხენოსანთა არმიის გმირების უმაგალითო სიმამაცემ და გმირობამ როსტოვი დაუბრუნეს საბჭოთა რუსეთს.

რუსეთის მშრომელი ხალხის მოსისხლე მტრების ყოფილი კერის კედლებზე ფრიალებს წითელი დროშა.

მუხლს ვიდრეკთ იმ წითელ მეომართა საფლავების წინაშე, რომლებიც დაიღუპნენ სამხრეთის კონტრრევოლუციის მთავარი დასაყრდენის მოსპობისათვის ბრძოლებში.

ძმურად ვართმევთ ხელს წითელ მეომრებს, რომლებსაც კავკასიისათვის მოაქვთ განთავისუფლების დროშა.

გულში ვიკრავთ ამხანაგებს, ბუდიონს, ვოროშილოვს და შჩადენკოს.

სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის სარდალი **ეგოროვი**

რევოლუციური სამხედრო საბჭოს წევრი **სტალინი**

ბრძანება

რუსეთის ს. ფ. ს. რესპუბლიკის სამხრეთის ფრონტის არმიებისადმი № 19

10 იანვარი 1920 წ.
ქ. კურსკი

სამხრეთის ფრონტის ჯარებისათვის მიცემული ძირითადი დავალება — მოწინააღმდეგის მოხალისეთა არმიის განადგურება, დონეცის ბასეინის და სამხრეთის კონტრრევოლუციის, მთავარი კერის—როსტოვის აღება, შესრულებულია.

ფრონტის მამაცმა ჯარებმა, რომლებმაც ზამთარში, დიდ თოვლსა და ცუდ ამინდში შეტევის დროს დიდი გაჭირვება გადაიტანეს, ორ ნახევარი თვის განმავლობაში, ორიოლის ხაზიდან აზოვის ზღვის ნაპირებამდე შეუპოვარი ბრძოლით განვლეს შვიდას ვერსზე მეტი.

მოწინააღმდეგის მოხალისეთა არმია, რომელსაც ზურგს უმაგრებდა მამონტოვის, შკუროს და ულაგაის ცხენოსანი არმია, დამარცხებულია და მისი ნაშთები გარბიან სხვადასხვა მიმართულებით. ფრონტის არმიებმა ხელთიგდეს 40 ათასზე, მეტი ტყვე, 50 ზარბაზანი, 1150 ტყვიამფრქვევი, 28 ჯავშნიანი მატარებელი, 11 ტანკი, 400 ორთქლმავალი, 12.300 ვაგონი და დიდძალი ყოველ ნაირი სამხედრო ქონება.

სამხრეთის ფრონტის რევოლუციური სამხედრო საბჭო, ამაყობს რა სამხრეთის ფრონტის წითელი არმიების საბრძოლო ძლევამოსილობას და ძლიერებას, თავის ძმურ სალამს უგზავნის მამაც გმირებს წითელარმიელებს, მეთაურებს და კომისრებს და ულოცავს მათ ბრწყინვალე გამარჯვებას მუშებისა და გლეხების უბოროტეს მტრებზე—მეფის გენერლებისა და მემამულეების არმიაზე.

გაუმარჯოს უძლეველ წითელ არმიას!

სამხრეთის ფრონტის სარდალი—ეგოროვი.

სამხრეთის ფრონტის რევოლუციური სამხედრო საბჭოს წევრი—სტალინი.

სამხრეთის ფრონტის შტაბის უფროსი—პეტინი.

კურსკი. სამხრეთის ფრონტის რევოლუციური სამხედრო საბჭო

ამხ. სტალინს, ეგოროვს, სერებრიაკოვს

ასლი: მოსკოვი

ამხ. ლენინს

1920 წლის 8 იანვარს, 20 საათზე წითელმა ცხენოსანმა არმიამ აიღო ქალაქები როსტოვი და ნახიჩევანი. ჩვენმა სახელოვანმა კავალერიამ მოსპო მტრის მთელი ცოცხალი ძალა, რომელიც იცავდა თავადაზნაურულ-ბურჟუაზიული კონტრრევოლუციის კრაზანას ბუდეებს. ტყვედ წამოვიყვანეთ 10 ათასზე მეტი თეთრი ჯარისკაცი, ხელთვიგდეთ 9 ტანკი, 32 ზარბაზანი, დაახლოებით 200 ტყვიამფრქვევი, ბევრი თოფი და დიდძალი საბარგული. მთელი ეს ნადავლი მოვიპოვეთ სისხლისმღვრელი ბრძოლების შედეგად. მოწინააღმდეგე იმდენად იყო ზარდაცემული, რომ ჩვენი შეტევა ქალაქებში არც კი შიოძინევია მტერს და ჩვენ 8 იანვარს მთელი ღამის განმავლობაში მოვახდინეთ თეთრგვარდიელთა სხვადასხვა შტაბის და სამხედრო დაწესებულებათა ლიკვიდაცია.

9 იანვარს დილით როსტოვსა და ნახიჩავანის ქუჩებში გაიმართა ბრძოლა, რომელიც მთელ დღის გაგრძელდა. 10 იანვარს ქალაქები სრულიად გაწმენდილ იქნა და მტერი გავრეკეთ ბატაისკის და ვნიშლოაკსაისკის გაღმა. მხოლოდ საშინელმა ნისლმა და წვიმებმა შეგვიშალა ხელი გამოგვედევნებინა მტერს და საშუალება მისცა მას მოესპო პატარა გადასასვლელები მდინარე კოისუგზე, ბატაისკთან, და დონზე აქსაისკთან. დონზე და როსტოვის რკინისგზის ხიდზე გადასასვლელები უვნებელია. როსტოვში ცხენოსანთა არმიის რევოლუციურმა სამხედრო საბჭომ შექმნა რევკომი, დანიშნა გარნიზონის უფროსი და კომენდატი. ქალაქში მრავლად მოიპოვება სხვადასხვა საინტენდანტო და სხვაგვარი საწყობები, რომლებიც სავსეა ყოველნაირი ქონებით. წარმოებს მათი აღრიცხვა და დაცვა. დღეს 11 იანვარს მოხდა კავკასიის ორი დივიზიის დათვალიერება, რომელსაც დაესწრო როსტოვის და ნახიჩევანის მრავალი მუშა კომუნისტთა არალეგალური ორგანიზაციის მეთაურობით. მივესალმეთ წითელ არმიას, საბჭოთა რესპუბლიკას და კომუნისტური რევოლუციის ბელადებს. ცხენოსანთა არმიის რევოლუციური სამხედრო საბჭო არმიის სახელით გილოცავთ თქვენ სახელოვან გამარჯვებას მქუხარე „ურას"-ით ესალმება ჩვენს ბელადებს.

გაუმარჯოს დიად წითელ არმიას!

გაუმარჯოს კომუნიზმის საბოლოო გამარჯვებას!

გაუმარჯოს მსოფლიო საბჭოთა ხელისუფლებას!

პირველი ცხენოსანი არმიის სარდალი—**ბუდიონი**

რევოლუციური სამხედრო საბჭოს წევრი—**ვოროშილოვი**

თეთრგვარდიელთა ბანდებისაგან ტაგანროგის განთავისუფლების 15 წლის თავი

ტაგანროგი, 6 იანვარი. 5 იანვარს ტაგანროგის პროლეტარებმა იდღესასწაულეს თეთრგვარდიელთა ბანდებისაგან ქალაქის განთავისუფლების სახელოვანი 15 წლისთავი. ყველა საწარმოში გაიმართა მიტინგები. საღამოს ქალაქის ორგანიზაციების საზეიმო სხდომაზე როსტოვის და ტაგანროგის განთავისუფლების მონაწილეებმა დამსწრეთ გაუზიარეს თავისი მოგონებანი სამხედრო დღეების შესახებ. კრებამ მისასალმებელი დეპეშები გაუგზავნა ამხ. სტალინს, ვოროშილოვს, ორჯონიკიძეს და ბუდიონს, რასაც დამსწრენი მქუხარე ოვაციებით და „ვაშას" ძახილით შეხვდენ. (ატს).

სტალინი

მოქანდაკე ნ. დ. მერკუროვის ახალი ნამუშევარი

დაიხურა აჭარისტანის საბჭოების ყრილობა

დაიხურა აჭარისტანის საბჭოების ყრილობა. უკანასკნელ სხდომაზე არჩეულია აჭარისტანის ცაკის 103 წევრი, აქედან 13 საუკეთესო კოლმეურნეა. სრულიად საქართველოს საბჭოების ყრილობაზე გასაგზავნად ყრილობამ მქუხარე ტაშით აირჩია 37 დელეგატი — ამხ. ბერია, ლევანდოვსკი, გეურქოვი, ლორთქიფანიძე, რამიშვილი, ჩახვაძე, ქაჯაია და სუბტროპიკების საუკეთესო დამკვრელი კოლმეურნეები—მამედ ჩალოღლი, მუხტარ ბოლქვაძე და სხვ.

საბჭოების ამიერ-კავკასიის ყრილობაზე არჩეულია 25 დელეგატი ამიერ-კავკასიის ბოლშევიკების ხელმძღვანელის ამხ. ლ. ბერიას მეთაურობით.

საბჭოების სრულიად საკავშირო ყრილობაზე არჩეულია ამხ. გეურქოვი და ლორთქიფანიძე.

საბჭოთა კავშირის ცაკის ეროვნებათა საბჭოში წარმომადგენლებად არჩეული არიან ამხ. გეურქოვი, ლორთქიფანიძე, გიორგი სტურუა, ბუდუ მდივანი და საუკეთესო დამკვრელი სადინაძე. (ატს).

ვ. მაჭავარიანი

ტფ. საბჭოს საგეგმო კომისიის თავმჯდომარე

ტფილისი 1934 წელს

როგორ გამოიყურებოდა ტფილისის მრეწველობა და კერძოდ, ტფილისის საბჭოს მრეწველობა, მისი კომუნალური მეურნეობა 1934 წელს?

მივყვებოდით კვალდაკვალ ჩვენი ქვეყნის საერთო მსვლელობას თუ ჩამოვრჩებოდით? უკეთესად ვმუშაობდით, ვიდრე გასულ წელს, თუ უფრო ცუდად ვმუშაობდით?

არ უნდა დავივიწყოთ, რომ ყველა წინა წლებში ტფილისის მრეწველობა, მათ შორის ტფილისის საბჭოს მრეწველობა და მისი კომუნალური მეურნეობა, თავის ვალდებულებებს არ ასრულებდა, გარღვევას განიცდიდა.

სად უნდა ვეძებოთ ჩამორჩენის მიზეზი? ეს იყო უხეირო მუშაობა, არასაკმაო ორგანიზებულობა და უდისციპლინობა, მუშაობის მყვირალა, დეკლარატიულ ფორმალური მეთოდები. უკანასკნელ წელს ტფილისის პარტიულმა ორგანიზაციამ ბევრი რამ გააკეთა, რომ ქალაქის მრეწველობასა და კომუნალურ მეურნეობაში დაინერგა საქმიანი, კონკრეტული მოსაზრებული და დისციპლინიანი მუშაობის სტილი, რომელიც ესოდენ დამახასიათებელია ამიერ-კავკასიაში უკანასკნელი 2—3 წლის მანძილზე.

და თუ გასულ სამეურნეო წელს სრული გამარჯვების მიღწევა ვერ მოხერხდა, ამის მიზეზია ხანგრძლივი ჩამორჩენა წინა წლებში.

1933 წელს ტფილისის მთელმა მრეწველობამ (რკინისგზის და კომუნალური მეურნეობის გამოკლებით) გამოიმუშავა **130.915** ათასი მანეთის პროდუქცია.

1934 წელს ტფილისის მრეწველობის ამავე დარგებმა გამოიმუშავეს **141.506.300 მანეთის** პროდუქცია, ე. ი. საერთო პროდუქცია გაიზარდა 8 პროც.

თუ 1933 წელს ტფილისის მრეწველობამ სახელმწიფო დავალება შეასრულა **86,9** პროც. 1934 წელს თავდაპირველი წლიური გეგმა შესრულებულია 97,8 პროც. ამგვარად, ტფილისის მრეწველობამ მიაღწია მნიშვნელოვან შედეგებს, თუმცა წლიური გეგმის შესრულებას დააკლდა 2,2 პროც.

როგორ მუშაობდენ მრეწველობის ცალკეული დარგები?

ყველაზე წინ მიდის ჩვენი მძიმე მრეწველობა, რომელმაც წლიური გეგმა შეასრულა 106,4 პროცენტით და საერთო პროდუქცია, 1933 წელთან შედარებით, გადიდდა 18,6 პროც. 1934 წელს მძიმე მრეწველობამ გამოიმუშავა 12.572,8 მანეთის პროდუქცია, ხოლო 1934 წელს—14.916,5 მანეთის პროდუქცია. გეგმა მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულეს და საერთო პროდუქცია, 1933 წელთან შედარებით, დიდად გაზარდეს: **26 კომუნარის სახელობის ქარხანამ** (დირექტორი ამხ. სიტნიკოვი), **ს. ორჯონიკიძის სახელობის ქარხანამ** (დირექტორი ამხ. ყანდარელი), **ხპალენძის სატკეცმა ქარხანამ** (დირექტორი ამხ. კობალეიშვილი); **ქიმკომბინატმა** (დირექტორი ამხ. ცეცხლაშვილი).

ამ წარმატებებს ჩვენმა მოწინავე ქარხნებმა და მთელმა მძიმე მრეწველობამ მიაღწია არა რაიმე სპეციფიური პირობების მეოხებით, არამედ მთელი მუშათა კოლექტივის ერთსულოვანი, ორგანიზებული, დისციპლინიანი მუშაობით.

ტფილისის მთელი რიგი ჩამორჩენილი საწარმოები თავისი არადამაკმაყოფილებელი მუშაობის გასამართლებლად ხშირად მიუთითებენ შეფერხებებზე ელექტრო-ენერგიით მომარაგებაში. ქალაქის ენერგეტული ბალანსის საერთო დაძაბულობასთან დაკავშირებით, რომელმაც მტკვარში წყლის მკვეთრი შემცირების გამო ძალიან იმატა გასული წლის ნოემბერსა და დეკემბერში, ამ ფაქტის უარყოფა, რა თქმა უნდა, შეუძლებელია. დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ წლიური გეგმის შესრულების პროცენტი ჩვენში უფრო მაღალი იქნებოდა, შესაძლოა წლიური დავალება მთლიანადაც შესრულებულიყო, რომ არ ყოფილიყო ასეთი შეფერხება ელექტროენერგიით სამრეწველო საწარმოთა მომარაგების მხრივ. მაგრამ მძიმე მრეწველობის საწარმოებიც ამ მხრივ ხომ ისეთსავე პირობებში მუშაობდნენ, როგორც სხვა საწარმოები! დამნაშავეა არა მარტო ეს ფაქტორი, არამედ, უმთავრესად, ჩვენი უხეირო მუშაობა.

თავდაპირველი წლიური გეგმა ვერ შეასრულა მსუბუქმა მრეწველობამ. გეგმა შესრულებულია სულ 97,3 პროც. თუმცა, 1933 წელთან შედარებით, პროდუქციის მოცულობა 1934 წელს უფრო მეტი იყო.

სასიხარულო ფაქტს ტფილისის მსუბუქი მრეწველობის მუშაობაში წარმოადგენს ის, რომ გეგმები მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულა მსუბუქი მრეწველობის ორმა წამყვანმა საწარმომ მაუდის ფაბრიკამ და აბრეშუმ-საქსოვმა ფაბრიკამ.

წარსულ წლებში ეს ორი საწარმო სისტემატიურად არ ასრულებდა სახელმწიფო დავალებებს. ტფილისის მთელ მრეწველობას სამარცხვინო ლაქად ეცხო მაუდის ფაბრიკის ჩამორჩენა, და ის მით უფრო, რომ ეგი ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით არის მოწყობილი. პარტიული ორგანიზაციების და, პირველ რიგში პარტიის ტფილისის კომიტეტის ღონისძიებებით მიმდინარე წელს მაუდის ფაბრიკამ წლიური გეგმა შეასრულა **102,4** პროც. პროდუქციის მოცულობა 1934 წელს, 1933 წელთან შედარებით, გაადიდა 16,3 პროც. შემცირდა წუნი და შეასრულა დავალება თვითღირებულების შემცირების დარგში.

აბრეშუმ-საქსოვმა ფაბრიკამ (დირექტორი ამხ. თოთიბაძე) წლიური გეგმა შეასრულა 109 პროცენტით და პროდუქციის მოცულობა გაადიდა 29,2 პროც.

როგორ მიაღწიეს ამ უდაო წარმატებებს საწარმოებმა, რომლებიც წლითიწლობით სისტემატიურად ჩამორჩებოდნენ?

გამარჯვება მიღწეულ იქნა საწარმოთა სამეურნეო და პარტიული ხელმძღვანელობის განმტკიცებით, შრომის უკეთ ორგანიზაციით, მუშების მატერიალურ-საყოფაცხოვრებო საჭიროებებისადმი ყურადღების გაძლიერებით, ტექნიკის დაუფლების საქმის ფართო გაშლით. არავითარი სხვა სპეციალური ღონისძიება არ ყოფილა გატარებული.

1934 წელს, წარსული წლების მსგავსად, ჩამორჩებოდნენ სამკერვალო ფაბრიკები, ტრიკოტაჟის ფაბრიკა, ქეჩის ფაბრიკა, ფეხსაცმლის ფაბრიკები №№ 1 და 2, ტყავის ქარხანა № 2, ბამბეულის ფაბრიკა.

ტფილისის პოლიგრაფიულმა მრეწველობამ წლიური გეგმა შეასრულა 109,2 პროცენტით და 1934 წელს, 1933 წელთან შედარებით, პროდუქცია გაადიდა 11,4 პროცენტით.

გეგმის შესრულების მხრივ ჩამორჩება ტფილისის კვების მრეწველობა, რომელმაც წლიური გეგმა შეასრულა სულ 90 პროცენტით, მაგრამ პროდუქცია 1934 წელს, 1933 წელთან შედარებით, გაადიდა 19,6 პროცენტით.

კვების მრეწველობაში უმთავრესად ჩამორჩებიან თამბაქოს ფაბრიკები, რომლებმაც თავდაპირველად დამტკიცებული წლიური გეგმა შეასრულეს სულ 86,4 პროცენტით. პროდუქციის საერთო მოცულობა 1934 წელს, 1933 წელთან შედარებით, შემცირდა 18,6 პროცენტით. პარტიის და მთავრობის ძირითადი ყურადღება 1934 წელს მიმართული იყო პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისაკენ. და ეს პირველ რიგში ეხებოდა კვების მრეწველობას.

რა მდგომარეობა ჰქონდა ამ მხრივ კვების პროდუქტების უდიდეს მწარმოებელს ტფილისში—ტფილსითმრეწვს?

მაკარონის გეგმა ხარისხობრივი პროდუქციის გამოშვების ხაზით არ სრულდება. მეორე კვარტალში პირველი ხარისხის მაკარონი უნდა გამოეშვათ 357 ტონა, ფაქტიურად გამოუშვეს 36 ტონა. სამაგიეროდ მეორე ხარისხის მაკარონი, 587 ტონის ნაცვლად, გამოუშვეს 1025 ტონა. სტანდარტს არ იცავდენ. მაკარონის ფაბრიკის ყველა ნაწარმი სახელმწიფო ინსპექციის მიერ აღიარებულია წუნად. საშაქარლამო ნაწარმის გეგმა ხარისხობრივი მხრივ აგრეთვე არ სრულდება. დიდდება თვითღირებულებაც. მაკარონის თვითღირებულება, შემცირების მაგივრად, გაიზარდა 9,6 პროც. თვით ღირებულების ზრდა ხდება, უმთავრესად, სათბობის ხარჯზე, საამქრო და საერთო-საქარხნო ხარჯების და ხელფასის გადიდების, ნედლეულის ნორმათა გადახარჯვის გზით.

პარტიის და მთავრობის არა ერთგზისი დადგენილებების, საქართველოს კ.პ. (ბ) ტფილისის კომიტეტის პლენუმის სპეციალური მითითებების მიუხედავად, ტფილისის მრავალ საწარმოს ფინანსიური მდგომარეობა აწეწილია. ტფილსითმრეწვის ხაზით არც ერთი დირექტორი არ იცნობს თავის საწარმოს ფინანსიურ მდგომარეობას, თვალყურს არ ადევნებს ფინგეგმის შესრულებას, არ იცის მოგებით თუ ზარალით მუშაობს. მოგება გამოყავთ ტრესტში, აგრეთვე საბოლოო თვითღირებულებაც. ეს დამახასიათებელია არა მარტო ტფილსითმრეწვის საწარმოებისათვის, არამედ ქალაქის სხვა საწარმოთა უდიდესი უმრავლესობისათვისაც. ცხადია, რომ ასეთი სისტემის დროს ბრძოლა სამეურნეო ანგარიშისათვის თვითღირებულების დაკლებისათვის იქნება ხელების ტყუილ-უბრალოდ ქნევა ჰაერში.

ასეთივე დაბალი ხარისხის პროდუქციას უშვებს ტფილისის საბჭოს სამშენ მასალათა დამამზადებელი ტრესტიც—ტფილმშენტრესტი. აგური, რომელსაც მშენტრესტის ქარხნები უშვებენ, მესამე ხარისხსაც კი არ ეკუთვნება. თვითღირებულების შემცირების ნაცვლად, დიდდება გეგმასთან შედარებით.

არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს ტფილისში კაპიტალური მშენებლობაც. სრული ამომწურავი ცნობები არ მოგვეპოვება, მაგრამ ის ცნობებიც, რომლებიც ჩვენ გვაქვს, მოწმობენ სახარჯთაღრიცხვო ღირებულების სისტემატიურ გადიდებას, გადახარჯვებს. ტფილისის კაპიტალური მშენებლობისათვის დამახასიათებელია ის, რომ სრულიად არ არის სახარჯთაღრიცხვო დისციპლინა, მანეთისადმი ყაირათიანი დამოკიდებულება.

თავის დროულად არ ხდება არც სტატისტიკური, არც ტექნიკური და ფინანსიური აღრიცხვა. ტფილისის მთელ რიგ მშენებლობებზე ბუღალტერია თვეობით ჩამორჩენილია. შეგვიძლია დავასახელოთ თუნდაც ტფილისის დიდი სამშენებლო ორგანიზაცია. წყალკანალტრესტი (ყოფ. ნატახტარმშენი), სადაც ბუხჰალტერია ჩამორჩენილია 3—4 თვით, ან თუნდაც ტფილისის ტრამვაი, სადაც ბუხჰალტერია ჩამორჩენილია ექვსი თვითაც კი.

როგორ სრულდებოდა კომუნალური მშენებლობის გეგმა ტფილისის კომუნალურ მეურნეობაში?

1934 წელს ქალაქის საკუთრივ კომუნალურ მეურნეობაში დაბანდებულ იქნა **34.219.800 მანეთი.**

საბჭოთა ხელისუფლების მთელი არსებობის მანძილზე ასეთი მსხვილი დაბანდება კომუნალურ მეურნეობაში არ ყოფილა. ამ თანხებიდან დიდძალი სახსარი მოხმარდა ქალაქის წყალმომარაგების გაუმჯობესებას. ამ საქმეში დაბანდებულია 5.063.400 მან. წარსულ წლებში, როცა აგებულ იქნა ნატახტარის წყალსადენი, ტფილისის საბჭო იძულებული იყო 2 მილიონი სუფთა წყაროს წყალი ეღვარა მტკვარში, რადგან ქალაქში საჭირო რაოდენობით არ მოიპოვებოდა მაგისტრალური და განმანაწილებელი ქსელი. 1934 წლის დამლევისათვის წყალს უკვე არ ვღვრით მტკვარში, არამედ მომხმარებელს ვაწვდით. ჩვენ ახლა მომხმარებელს ვაწვდით 4 მილიონამდე ვედრო წყალს დღეში. გაყვანილია მაგისტრალური მილები საერთოდ 17,9 კილომეტრის მანძილზე. ჩატარებულია ასეთივე ოდენობის სამუშაოები განმანაწილებელი და საკანალიზაციო ქსელის ხაზით. ამგვარად, 1934 წელში ჩვენ მივაღწიეთ წყლის მოხმარების მკვეთრად გადიდებას ქალაქში. 1934 წელს ქალაქს მივაწოდეთ 11.081.600 კუბ. მეტ. წყალი, ნაცვლად 8.447.300 კუბ. მეტრისა 1933 წელში,—ზრდა უდრის **30** პროც.

1934 წელი იყო ტრამვაის ქსელის რეკონსტრუქციის ფართო სამუშაოთა დაწყების წელი. ტრამვაის კაპიტალურ მშენებლობაში დაბანდებულია 4.500.000 მანეთი. გაყვანილია [illegible] ლიანდაგი № 6 მარშრუტისა ამიერ-კავკასიის ფედერაციის მოედნიდან კახეთის მოედნამდე. მოწყობილია ახალი ხაზი [illegible] აღმართზე და 300 არაგველის ხიდზე. გაყვანილია ახალი ხაზი ლენინის რაიონში—კიროვის სახელობის ნავთსაბურღი მანქანების ქარხნის საწარმოებამდე, ავტოსარემონტო ქარხნამდი, დიდი სამკერვალო ფაბრიკის მშენებლობამდე.

1934 წელს დიდი მუშაობა ჩატარდა ქალაქის ქუჩების წესრიგში მოსაყვანად. ქალაქის საგზაო მეურნეობა ერთი ყველაზე ჩამორჩენილთაგანია. 1934 წელს ასფალტირებულ იქნა 42.583 კვადრ. მეტრი, მაშინ როცა 1933 წელს ასფალტირებული იყო სულ 21.400. რიყის ქვით მოკირწყლულია 49.300 და კუბიკებით 6.192 კვ. მეტრი. საგზაო მშენებლობის ხაზით გასულ წელს ჩატარებულ და 4.363.000 მანეთის ღირებულების სამუშაოები. 1934 წელს მთავრად დამთავრდა ქალაქის სიამაყე, საბჭოთა კავშირის კომუნალური მეურნეობის ერთ-ერთი ურთულესი და ულამაზესი ნაგებობა— ჩელუსკინელთა სახელობის ხიდი მტკვარზე, რომელიც დაჯდა 8.700.000 მანეთი. თითქმის დამთავრებულია ამ ერიდან ქალაქის ერთ-ერთი ულამაზესი ადგილის—სანაპირო ქუჩის-გაყვანა.

დიდი სამუშაოები ჩატარდა ქალაქის გასამწვანებლად. სულ მოკლე ვადაში გაშენდა ახალი პარკი—ვერის პარკი. ახალგაზრდა ენერგიული მეტყევე აგრონომის, საქ. კ. პ. (ბ) წევრის ამხ. სირდიუკოვის ხელმძღვანელობით ჩატარებულია გიგანტური მუშაობა ტყის გასაშენებლად დავითის მთის სრულიად შიშველ კლდეებზე. განსაკუთრებით მძიმე პირობებში იქ დარგულია თითქმის ადამიანის სიმაღლის 36.000 ხე.

როგორც ჩანს 1934 წელს ჩატარებულ სამუშაოთა არასრული, მოკლე მიმოხილვიდან, ტფილისმა დიდი ნაბიჯები გადადგა წინ თავის კეთილმოწყობის საქმეში. ამ უდავოდ დიდ წარმატებებს ტფილისის კომუნალურმა მეურნეობამ მიაღწია ამხ. ლ. ბერიას სისტემატიური ყოველდღიური დახმარების და ხელმძღვანელობის მეოხებით.

ტფილისის მრეწველობის და კომუნალური მეურნეობის წინაშე 1935 წელს დასმულია განსაკუთრებით დიდი ამოცანები. 1935 წელი ტფილისის მრეწველობაში უნდა გახდეს არა მარტო სახელმწიფო დავალებათა უეჭველად შესრულების წელი, არამედ ხარისხობრივად მაღალი მუშაობის წელიც.

1935 წელს ტფილისმა მკვეთრად უნდა შეცვალოს თავისი სახე. კომუნალურ-საბინაო, სოციალურ-კულტურულ და ადმინისტრატიულ მშენებლობას, წინასწარი ვარაუდით, ხმარდება 70 მილიონზე მეტი მანეთი.

გვაქვს ყველა წინაპირობა, რომ დაძაბული შემოქმედებითი, აქტიური, თანაზომიერი, დისციპლინიანი მუშაობით მივაღწიოთ გამარჯვებებს სამეურნეო საქმიანობის ყველა უბანზე ტფილისში.

რა ნაკლი ჰქონდა ფულად სახსრების მობილიზაციას

საქ. ფინანსთა სახალხო კომისარიატმა შეაჯამა ფულადი სახსრების მობილიზაციის ძირითადი წყაროების გეგმის შესრულების შედეგები გასულ წლის მე-4 კვარტალში.

გამოირკვა, რომ განსაზოგადოებულ სექტორის მეოთხე კვარტალის გადასახადების გეგმა შესრულებულია 102,1 პრ. ხოლო მოსახლეობის სახსრების მობილიზაციის (ძირითადი სახეების) გეგმა—100,1 პროცენტით.

მიუხედავად იმისა, რომ განსაზოგადოებული სექტორის გადასახადთა რესპუბლიკური გეგმა გადაჭარბებით აქვს შესრულებული, მთელი რიგი რაიონები ამ მხრივაც სამარცხვინოდ არიან ჩამორჩენილი:

ერწო-თიანეთის რაიონს მაგალითად განსაზოგადოებული სექტორის გადასახადთა გეგმა შესრულებული აქვს მხოლოდ 40 პროც., ჩხარის რაიონს—40 პროც., ქომთ-სვანეთის—33 პროც., ზუგდიდს—50,8 პროც., ლანჩხუთის—51,5 პროც., სამხრეთ-ოსეთს—54,5 პროცენტით.

გამოდის, რომ რესპუბლიკური გეგმა შესრულებულია ცალკე რაიონების მიერ გეგმის გადაჭარბებით შესრულების ხარჯზე, აჭარისტანს განსაზოგადოებული სექტორის გადასახადთა გეგმა შესრულებული აქვს 125,5 პროც., აფხაზეთს 116,5 პროც. ჩოხატაურის რაიონს—113,2 პროც., ფოთს—109,9 პროცენტით.

ასეთივე მდგომარეობაა მოსახლეობის ფულადი სახსრების მობილიზაციის მხრივაც.

მაგალითად საშემოსავლო გადასახადის გეგმა შესრულებულია 108,7 პროცენტით, კულტგამოსაღების გეგმა ქალაქად—117,3 პროც., სოფლად—185,3 პროც., თვითდაბეგვრის გეგმა—133,7 პროცენტით, სახელმწიფო სესხის გეგმა ქალაქად—102,6 პროც., ანაბრების გეგმა ქალაქად—233,9 პროც., და სოფლად—117,2 პროცენტით.

ამავე დროს ზოგიერთ სახის გადასახადისა და გამოსაღების გეგმის შესრულება საგრძნობლად არის ჩამორჩენილი:

სახელმწიფო სესხის გეგმა სოფლად შესრულებულია მხოლოდ 65,7 პროცენტით, ერთდროული გადასახადის გეგმა—83,9 პროცენტით, სადაზღვევო გეგმა—86,1 პროცენტით.

გეგმის შესრულების მხრივ არც რაიონებს შორის არის თანაბრობა. რაიონების დიდ უმეტესობას გეგმა გადაჭარბებით აქვს შესრულებული მაგრამ არის რაიონები, რომლებიც მოსახლეობის ფულადი სახსრების მობილიზაციის მხრივ სამარცხვინოდ არიან ჩამორჩენილი: წალენჯიხის რაიონს, მაგალითად, მოსახლეობის ფულადი სახსრების მობილიზაციის მე-4 კვარტალის გეგმა შესრულებული აქვს მხოლოდ 30,2 პროცენტით, ხობის რაიონს—65.8 პროც., სტალინისის რაიონს—67,9 პროც., საგარეჯოს—70,3 პროც.,

სოფსაბჭოები ისევ განაგრძობენ აკრეფილი თანხების სახელმწიფო ბანკში წარდგენის დაგვიანებას. მარტო ძირითად სახის გადასახადთა და გამოსაღებთა ანგარიშში აკრეფილ თანხიდან სოფსაბჭოს 31 დეკემბრისათვის ბანკში კიდევ არ ჰქონდათ წარდგენილი 568.000 მანეთი.

ყოველივე ეს იმას ადასტურებს, რომ ფულადი სახსრების მობილიზაციაში ჩვენ საფინანსო ორგანოებს, დიდ წარმატებებთან ერთად ჯერ კიდევ ბლომად აქვთ ნაკლი, რომლის გამოსწორება მათი მომავალი საქმიანობის მთავარ ამოცანად უნდა იქნას დასახული.

საფინანსო ორგანოებმა, სოფსაბჭოებმა და სამეურნეო ორგანიზაციებმა, ფინაქტივთან ერთად უნდა უზრუნველყონ თვითეული სახის გამოსაღების და გადასახადის გეგმის დეკადიდან დეკადაში თანაბრად შესრულება, ძირში აღკვეთონ კამპანიურობა და იმ რაიონის სოფლის თუ ორგანიზაციის წინააღმდეგ, რომელიც შემჩნეული იქნება ფულადი სახსრების მობილიზაციის შეუფასებლობაში, მიიღონ ფინანსიური ზეგავლენის მკაცრი ზომები.

მალე ტფილისში ელმავალი შემოვა

ხაშურ-ტფილისის უბანზე ელექტრიფიკაციის ძირითადი სამუშაოები უკვე დამთავრებულია, მაგრამ სალიანდაგო დარგის მე-6 დისტანციის უფროსი **გაჩეჩილაძე** დაუშვებელ გულგრილობას იჩენს და არ აწყობს ლიანდაგს ელექტრომავლებისათვის. გაჩეჩილაძე რამდენიმე თვის წინათ დაპირდა ა.-კ. სამხარეო კომიტეტის პარტიულ და საბჭოთა კონტროლის ხელმძღვანელს **შახსუვაროვს**, რომ ლიანდაგი 15 დეკემბრისათვის მზად მექნებაო, მაგრამ დაპირება დაპირებად დარჩა. ლიანდაგის მოუწყობლობა შეაფერხებს იანვრისათვის ელმავლების მოძრაობას ტფილის-ზესტაფონის ხაზზე.

ხაშურ - ტფილისის უბანზე მრავლად არის ტელეგრაფ - ტელეფონის მავთულები, რომელიც ედება ელექტროხაზს და იწვევს ხშირ ავარიებს. ა.-კ. რკინიგზების კავშირგაბმულობის განყოფილების უფროსს დემჩენკოს უნდა გადაეწია ტელეფონის მავთულები, მაგრამ მიუხედავად გზის უფროსის მრავალი გაფრთხილებისა, დემჩენკო ამ საქმეს დღემდე არ შედგომია.

გაჩეჩილაძის და დემჩენკოს მიმართ გზის უფროსმა **როზენცვეიგმა** უნდა მიიღოს სათანადო ზომები. კავშირგაბმულობამ და ლიანდაგის დარგმა ყოველმხრივ უნდა შეუწყონ ხელი ელექტრიფიკაციის მშენებლობას.

საკონტაქტო ქსელის მშენებლობა უკვე დამთავრებულია. დადგმულია გადასარბენებზე — 1800 ანძა, ხოლო სადგურებში — 350. საკონტაქტო ქსელის მონტაჟი დაიწყო 1934 წლის პირველ კვარტალში. დღემდე დამონტაჟებულია 175 კილომეტრი გზა.

ახლა მთავარი მუშაობა წარმოებს სადგურ ტფილისის ლიანდაგებზე. გაცხოველებულად მიმდინარეობს ანძებისათვის მიწის ამოთხრა. ტფილისში ანძები ოქტომბერს უნდა ყოფილიყო დადგმული, მაგრამ რკინის მიუღებლობამ ეს საქმე შეაჩერა. ახლა კი ტფილისის კონსტრუქციული ქარხანა ამზადებს რკინის ანძებს, რომელიც პირველ მარტისათვის უნდა იყოს მზად.

ამჟამად კასპის, გორის და ზაჰესის ქვესადგურები უკვე მზად არის ელდენის მისაღებად. გორიდან ზესტაფონამდე ელმავლებს უკვე მიჰყავთ **სახალხო და საბარგო მატარებლები.** 5 ნოემბერს ელმავალი მოვიდა სადგურ მცხეთამდი, საიდანაც წაიყვანა ფოთის მატარებელი ზესტაფონამდე. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, თითქოს უბანი საექსპლოატაციოდ უკვე მზად იყოს. ჯერ კიდევ საჭიროა წვრილმანი შეკეთების ჩატარება, მავთულების შეერთება, ანძების მჭახავების დადგმა, ხაზის ამწევების მოწყობა და სხვა მთელი რიგი მნიშვნელოვანი სამუშაოების შესრულება. ამისათვის კი ელექტრიფიკაციის განყოფილებას არა აქვს სათადარიგო მასალები. რაც დიდად უშლის ხელს მშენებლობის დამთავრებას.



სურათზე; ელმავალი, რომელიც იმუშავებს ტფილის ზესტაფონის უბანზე.

მომარაგების აგენტი **ტატოვი** არ ღებულობს სათანადო ზომებს სათადარიგო ნაწილების (მავთულების, მჭახავების და დამკავებლების) შესაძენად. იგი მიმოწერას აწარმოებს მთელ რიგ ქარხნებთან. მაგრამ ეს საქმეს არ შველის. საჭიროა თვით ტატოვმა შეიწუხოს თავი და გამოიტანოს ქარხნებიდან მასალები.

ხაშურ - ტფილისის უბნის ელექტრიფიკაციის მშენებლობაზე თავი ისახელეს იმ ადამიანებმა, რომლებიც მშენებლობის დაწყებამდე სოფლის მეურნეობას ეწეოდენ. ისინი დაინტერესდენ მუშაობით და მალე აითვისეს ამ მშენებლობის რთული მექანიზმი. ვინ არ იცნობს ალექსი **მჭედლიძეს**, რომელმაც მიატოვა გუთანი და მოეწყო შავმუშად უღელტეხილის ელექტროფიკაციის სამუშაოებზე! შემდეგ მან დაიწყო ტექნიკუმში მეცადინეობა და წინ გაუსწრო ზოგიერთ ამხანაგს, იგი მალე საკონტაქტო ქსელის მონტაჟზე გადაიყვანეს, ხოლო აქედან ელექტრომექანიკის ხარისხზე გამოცდები ჩააბარა და ახლა გორის ქვესადგურში მუშაობს. ალექსი მჭედლიძე როგორც საუკეთესო მუშაკი, წარდგენილია გზათა სახალხო კომისარიატში სტალინურ გაწევის დამკვრელის ნიშნის მისაღებად.

ალექსი მჭედლიძეს არ ჩამორჩებიან: საკონტაქტო ხაზის ბრიგადირი **ხინჩაკიძე მიხეილ**, სამონტაჟო ჯგუფის ხელმძღვანელი **ივანე კალიაშვილი, ვლადიმერ მაღრაძე, არჩილ ქურდაძე და სიმონ სამხარაძე**, რომლებიც ამ ერთი წლის წინათ მიწის მუშები იყვნენ, ახლა კი ხაშურ-ტფილისის უბნის ელექტროფიკაციის **საუკეთესო** მშენებლები არიან.

*

ხაშურ-ტფილისის უბნის ელექტროფიკაციის მშენებლობის დაწყების შემდეგ დაიწყო ტფილის-აქსტაფის უბნის ელექტროფიცირება. სულ ამ უბნებზე მუშაობს 767 კაცი. აქედან 66 ინჟინერ-ტექნიკოსია. უნდა აღინიშნოს მშენებლობის პარტიულ და პროფესიონალურ ორგანიზაციების სუსტი მუშაობა. მათ ვერ შესძლეს მუშებს შორის სოცშეჯიბრების ფართოდ გაშლა. ახლა მშენებლობა უმთავრესად ტფილის-აქსტაფის უბანზე მიმდინარეობს. აქ საჭიროა სოცშეჯიბრების გაშლა, რათა გეგმების შესრულება უზრუნველყოფილ იქნეს. დღის 767 კაციდან სოცშეჯიბრებაში მხოლოდ 300 არის ჩაბმული. ეს საკმარისი არ არის. საჭიროა პარტიული და პროფესიონალური ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა მუშა-მოსამსახურეები მთელი ასი პროცენტით ჩააბან სოცშეჯიბრებაში.

3—7 იანვრამდე გამოსცდიან საბჭოთა მძლავრ ელმავალს, რომელიც მიღებულია სახალხო მატარებლების გადასაყვანად ტფილის-ზესტაფონის უბანზე. ამ ელმავლების სიმძლავრე საათში უდრის 130 კილომეტრს. გამოცდას ჩაატარებს მეორე საექსპლოატაციო განყოფილების უფროსი კაკულიძე.

იანვარში სადგურ ტფილისის ჩრდილოეთ პარკამდე მივა ელმავალი, რომელიც მომსახურებას გაუწევს საბარგო მატარებლებს. ამით ბოლო მოეღება მატარებლების დაგვიანებას და გაძლიერდება ზამთრის ტვირთზიდვა.

კლ. გოგიავა.

ჩვენი პასუხი მთავრობის დახმარებაზე

სოფ. მარანის (აბაშის რაიონი) კოლმეურნეთა აქტივის წერილი

ამ დღეებში გაზეთებში წავიკითხეთ, რომ მთავრობის დადგენილებით კოლექტივებს ჩამოეწერათ 1933 წლის 1 იანვრამდე მიცემული სესხი. ეს დადგენილება ჩვენთან საერთო კრებაზე დამუშავდა. ამ დადგენილების გაცნობამ ჩვენ აღტაცებაში მოგვიყვანა და სიხარულით აგვავსო.

ჩვენ გავიგეთ, რომ ეს დადგენილება მიღებული ყოფილა ჩვენი და მთელი მშრომელთა საყვარელი ბელადის ამხანაგ **სტალინის** მითაურობით. ეს ერთხელ კიდევ ამტკიცებს იმას, თუ როგორ უდიდეს დახმარებას და მზრუნველობას იჩენს კოლმეურნეებისადმი პარტია და ჩვენი **სტალინი.**

წინათ რამდენიმე ნაჭერ მიწას ვჩიჩქნიდით დილიდაღამე ოფლში ვიწურებოდით, მაგრამ ცხოვრება მაინც გვიჭირდა. მოაწევდა თუ არ მაისი და ივნისი, ბევრი ჩვენგანი **სამტრედიასა და ქუთაისში** დაეხეტებოდა „ორი გროშის" საშოვნელად, რომ ცოლშვილი გამოეკვება. აბა, კავითა და საჩნისით რა მოსავალი უნდა მიგვეღო. ჩვენი სოფელი დაჭაობებულია. საჭირო იყო საწრეტი არხების გაყვანა. ჩვენ მაშინ საამისო საშუალება არ გვქონდა. მოვიდოდა წვიმა, ყანებში წყალის ტბა დადგებოდა, ჩვენ ნათესლარს წალეკავდა და მშიერი ვრჩებოდით.

კოლექტივში შესვლის შემდეგ მოგვეცა მეურნეობის მოწყობის ნამდვილი საშუალება. გავიყვანეთ წყალსაწრეტი არხები, მამაპაპურ კავს სამუდამოდ გამოვეთხოვეთ. ჩვენ მინდვრებს ახლა ტრაქტორი დაგუგუნებს. პარტია და მთავრობა უგზავნის ჩვენ ამ მანქანა-იარაღებს და ყოველდღიურ დახმარებას გვიწევს.

გუშინ წინ ჩვენ სასოფლო-სამეურნეო ბანკის აბაშის კანტორამ პარტიის და მთავრობის დადგენილებით **ჩამოგვაწერა 1933 წლის 1 იანვრამდე მიღებული სესხი 20.688 მანეთის რაოდენობით.**

ჩვენ დავინტერესდით და გავიგეთ, რომ ეს თანხა მთელი რაიონის კოლექტივის დავალიანების თითქმის ნახევარს აღემატება. ხუმრობა საქმე ხომ არ არის ახლა ჩვენთვის ამოდენა თანხის ჩამოწერა. ამის შემდეგ რა გასაკვირია, ჩვენ უფრო მეტად დავინტერესდით კოლექტიური შრომით.

პარტიის დიდი მზრუნველობის შედეგია, რომ ჩვენ თანდათან წინ მივდივართ თუ 1933 წელს ერთ შრომადღეზე მოგვივიდა 4,6 კილოგრამი სიმინდი, 1934 წელს მივიღეთ 9 კილოგრამი.

ჩვენ ყოველმხრივ ვცდილობდით გადაგვეხადა ვალი. ბანკიდან შემოგვითვალეს წელს უნდა გადაიხადოთ 7 ათასი მანეთიო. ეს კი ცოტა გვაფიქრებდა. სიმართლე უნდა ვთქვათ, ამჟამად ჩვენი კოლექტივი არც ისე მოღონიერებულია, როგორც აბაშის რაიონის ზოგიერთი კოლექტივი ამიტომ წელს ცოტა გაგვიჭირდებოდა ამ ვალის დაფარვა.

ჩვენ ვცდილობდით თანდათან უმტკივნეულოდ გაგვენაღდებინა იგი. ამიტომ 1934 წლის მოსავლიდან გამოვყავით 101 ფუთი სიმინდი, რომელიც უნდა მიგვეყიდა კოოპერატივისათვის და ფული ბანკში შეგვეტანა ვალის ანგარიშში დადგენილებამ მოგვისწრო, მაგრამ ჩვენ ეს სიმინდი მაინც მივყიდეთ კოოპერატივს.

ფულს, რომელიც მთავრობამ ჩამოგვაწერა, ვახმართ ჩვენი კოლექტივის კეთილდღეობას. ვცდილობთ არც ერთი კაპიკი უთავბოლოდ არ დავხარჯოთ. ამისათვის ჩვენ ამჟამად უკვე ხელი მოვკიდეთ კოლექტივის ანგარიშწარმოების გაჯანსაღებას. ავამოქმედეთ კოლექტივის სარევიზიო კომისია, რომელიც აქამდე ცუდად მუშაობდა. ვალის ჩამოწერის შემდეგ სარევიზიო კომისიამ შეამოწმა კოლექტივის ფულადი ანგარიშები. აღმოჩნდა ზოგიერთი ნაკლი. კრებამ იმსჯელა ამ ნაკლის შესახებ და დასახა ზომები მის გამოსასწორებლად.

ჩვენ ვაცხადებთ ლაშქრობას **სარევიზიო კომისიების უკეთ მუშაობის, ანგარიშწარმოების მოწესრიგების, ფულადი მეურნეობის გაჯანსაღებისათვის და სოცშეჯიბრებაში ვიწვევთ საქართველოს ყველა კოლმეურნეობას.**

ჩვენ უკვე შევიმუშავეთ გეგმა, თუ რას უნდა მოვახმაროთ ჩამოწერილი ფული, პირველყოვლისა შევიძენთ სამ უღელ ხარს. იმიტომ, რომ ჩვენ ხარები ცოტა გვყავს (სულ 26 სული).

დამატებით გავიყვანთ საკოლმეურნეო მინდვრებზე საწრეტ არხ-ებს.

კოლექტივთან არსებულ მეღორეობის ფერმას (ახლა 48 სული ღორი გვყავს) უფრო მეტი მზრუნველობით მოვეპყრობით. წელს შევიძენთ იორკშირის ჯიშის 7 დედა ღორს. ავაგებთ ბოსელს ასი სული საქონლისათვის. დავდგამთ ელექტრო დინამოს (მოტორი გვაქვს). გარდა ამისა წელს 2 ჰექტარზე დავთესავთ მიწის-ვაშლს ღორების საკვებად.

დავალიანების ჩამოწერის შემდეგ ჩვენ ერთიორად გავადიდეთ მუშაობის ტემპები წვრილი მანქანა-იარაღების შესაკეთებლად. ამ სამუშაოს დავამთავრებთ 12 იანვრისათვის. ჩამოვაყალიბეთ კომისია გამოცდილ და მცოდნე კოლმეურნეებისაგან, რომლებიც ამოწმებენ შეკეთებული მანქანების ხარისხს.

ჩვენ უკვე შევამოწმეთ სათესლედ გამოყოფილი სიმინდის მდგომარეობა. გამოირკვა, რომ თესლი კარგად ინახება. ჩვენ გამოვყავით გამოცდილი და დამკვრელი კოლმეურნე, რომელიც ჩვენთან ერთად თვალყურს ადევნებს სათესლე სიმინდის დაცვას მოსალოდნელი დატაცებისაგან.

მუშა პირუტყვისათვის დაჯავშნულ საკვებს საიმედოდ ვინახავთ. **დასუსტებული საქონელი უკვე გადავიყვანეთ გაძლიერებულ კვებაზე.**

ვიძლევით კოლმეურნულ სიტყვას, რომ კიდევ უფრო ერთსულოვნად დავირაზმებით, გავაორკეცებთ კოლექტიურ შრომას, ვიმუშავებთ დამკვრელურად, სანიმუშოდ მოვემზადებით საგაზაფხულო თესისათვის და ამრიგად წელს მივაღწევთ მოსავლის კიდევ უფრო გადიდებას.

გაზ. „კომუნისტის" რედაქციას ვთხოვთ დაგვიბეჭდოს ეს წერილი.

მარანი, 6 იანვარი.

ტფილისში მთავრდება ქიმიურ-ფარმაცევტიული ქარხნის მშენებლობა. ქარხანა თავის სიმძლავრით მეორეა მთელ კავშირში. ეხლა მიმდინარეობს რთულ მოწყობილობათა მონტაჟი და ქარხნის ელექტროფიკაცია. ქარხანა გამოუშვებს 300-მდე სახელწოდების რთულ ქიმიურ პრეპარატებს, მათ შორის ანტიფიბრინს სიცხის დამწევ ძლიერ საშუალებას და აგრეთვე გულის და ანტიგანგრენულ ახალ პრეპარატებს, რომლებიც წინათ უცხოეთიდან შემოგვქონდა.

სურათზე: ეტილის სპირტის მიღება ქარხანაში.

მშენებლობის ხარისხზე პასუხს აგებს არქიტექტორიც

ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენების უდიდესი ეპოქა არქიტექტორებს და მშენებელ ინჟინერებს აყენებს სოციალისტური მშენებლობის მოწინავე პოზიციებზე. მათ დაკისრებული აქვთ დიდი ამოცანა: — უშუალო მონაწილეობა მიიღონ ახალი სოციალისტური ქალაქების შექმნაში, ძველი ქალაქების რეკონსტრუქციაში, ახალი საკოლმეურნეო სოფლების, აგრო-ინდუსტრიალური ქალაქების აშენებაში, ჩვენი ქვეყნის მრეწველობის და საბინაო კომუნალური მშენებლობის ხაზით დასახულ უდიდეს გეგმათა განხორციელებაში.

ჩვენი სამშენებლო გეგმების რიცხვობრივ ზრდასთან ერთად ძალიან მწვავედ დგას მშენებლობის და მისი არქიტექტურული გაფორმების ხარისხის საკითხი. ამხ. კაგანოვიჩმა ასე განსაზღვრა მოთხოვნები ახალი მშენებლობისადმი: **„პროლეტარიატს სურს ჰქონდეს არა მარტო სახლები, სურს არა მარტო მოხერხებულად იცხოვროს მათში, არამედ სურს აგრეთვე ჰქონდეს ლამაზი სახლებიც".**

მივცეთ პროლეტარიატს ლამაზი და ყოველმხრივ მოწყობილი სახლები, უზრუნველვყოთ მაქსიმალურად მიზანშეწონილი კავშირი სამრეწველო, საცხოვრებელ და კულტურულ მშენებლობებს შორის თვითეული რგოლის, უბნის და მთლიანად ქალაქის საუკეთესო გაფორმებით — ასეთია ის ამოცანა, რომელიც ჩვენი არქიტექტორებისა და მშენებლების წინაშე დასახეს პარტიამ და მთავრობამ.

აღნიშნული ამოცანის წარმატებით შესრულება ჩვენი არქიტექტორებისა და მშენებლებისაგან მოითხოვს შეთანხმებულ კოლექტიურ მუშაობას, არქიტექტორი — პროექტის ავტორი უნდა იყოს დამკვეთელის მუდმივი წარმომადგენელი მშენებლობაზე. იგი ვალდებულია ყოველდღიური მეთვალყურეობა გაუწიოს სამუშაოებს და მოითხოვოს, რათა მათი შესრულება ადგილზე სავსებით შეეფერებოდეს დამტკიცებულ პროექტს. მშენებლობის უფროსმა და პროექტის ავტორმა სამუშაოების დამთავრების შემდეგ უნდა ჩააბარონ მშენებლობა სახელმწიფო ორგანოებს, სამშენებლო ზედამხედველობას **და ერთად აგონ პასუხი სამშენებლო სამუშაოების ხარისხისათვის.**

ასეა თუ არა დაყენებული მუშაობა ჩვენს მშენებლობებზე? სრულიადაც არა!

პროექტის დამტკიცების მომენტიდან მისი ავტორი ვალდებულად არა გრძნობს თავს თვალყური ადევნოს პროექტის შემდგომ განხორციელებას. ხშირია შემთხვევები, როცა ავტორს ეძნელება იმის გამორკვევა, მშენებლობა მისი პროექტის მიხედვითაა განხორციელებული თუ სხვა პირის მიერ ახლად შედგენილი პროექტის თანახმად. საჭიროა გადაჭრით აღმოვფხვრათ განსხვავება მშენებლობის დაპროექტებასა და მის განხორციელებას შორის. ეს განსხვავება ამცირებს მშენებლობის ხარისხს და იწვევს არქიტექტორის ფაქტიურ უპასუხისმგებლობას სამუშაოების ხარისხის საქმეში.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ არქიტექტორები და მშენებლები სრულ გარკვეულობას შეიტანენ არა მარტო ჩვენი მშენებლობების დაპროექტების და არქიტექტურული გაფორმების საკითხებში, არამედ სამშენებლო სამუშაოების წარმოების საქმეშიაც.

პროლეტარიატის შემოქმედებითი აზრი და ინიციატივა, შევსებული არქიტექტორებისა და მშენებლების შემოქმედებითი აზრით და ინიციატივით, წარმოადგენს იმის საუკეთესო გარანტიას, რომ განხორციელებული იქნება ლოზუნგი — **„მოკლე ვადაში ავაგოთ მტკიცე, ყოველმხრივ მოწყობილი, იაფი და ლამაზი სახლები"**, რომლებიც იქნებიან ახლანდელი უდიდესი ეპოქის შესაფერისი.

ინჟ. ბ. სისოევი.

გრ. გაბუნია

ბრძოლა პარტიის მე-17 ყრილობის დადგენილებათა განხორციელებისათვის

საქ. კ. პ. (ბ) ზესტაფონის რაიკომის მდივანი

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1931 წ. 31 ოქტომბრის დადგენილებამ და პარტიის მე-17 ყრილობამ უდიდესი საბრძოლო ამოცანები დაუსახა, როგორც საერთოდ საქართველოს, ისე კერძოთ, **ზესტაფონის** რაიონის პარტიულ ორგანიზაციას.

ჩვენს უპირველეს ამოცანას წარმოადგენდა პარტიულ - მასობრივი მუშაობის გარდაქმნა ახალ ამოცანებთან შეფარდებით. ჩვენი მიზანი იყო და არის ორგანიზაციული მასობრივი მუშაობა აგვეყვანა პოლიტიკური ამოცანების სიმაღლემდე. ძალების მიზანშეწონილად განაწილებისა და პარტიული მუშაობის გამოცოცხლების შედეგად თვალსაჩინოდ გაიზარდა თვითეული კომუნისტის ავანგარდული როლი და მინდობილი საქმის პასუხისმგებლობა. პარტიული მუშაობის გარდაქმნისათვის ჩატარებული მუშაობა მალე დაეტყო მშენებლობის ყველა უბანს.

პარტორგანიზაციამ სერიოზულად მოჰკიდა ხელი მრეწველობის განვითარების საკითხებს. ყველაზე მეტი ყურადღება მივაქციეთ ფერომარგანეცის ქარხნის მშენებლობას და მის ათვისებას.

ქარხნის სპეციალისტების და მუშების თავდადებული მუშაობით მივაღწიეთ იმას, რომ 1933 წ. 30 ოქტომბერს ფერომ პირველი შენადნობი მოგვცა. ფეროს ამუშავება საქართველოს კომპარტიის მორიგი დიდი გამარჯვება იყო. ამუშავების შემდეგ ფეროს ქარხანამ მრავალი დაბრკოლება განიცადა (ღუმელების დროებით გაჩერება, ფირმა „სიმენსის" სპეციალისტების მიერ მიზეზების გამორკვევის გაჭიანურება და სხვ.), მაგრამ ჩვენი ახალგაზრდა სპეციალისტების და ახალგაზრდა კვალიფიციური მუშების ენერგიული მუშაობით ჩვენ მივაღწიეთ იმას, რომ პირველი რიგის სამი ღუმელი **ნორმალურად მუშაობს და** ლითონის გამოდნობის მიცემულ გეგმებსაც გადაჭარბებით ასრულებს.

ახლა ფეროში ყველაზე უფრო ჩამორჩენილ უბანს წარმოადგენს მეორე რიგის მშენებლობა. ამ მშენებლობას 1935 წელს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს. ყველა პირობა უნდა შეიქმნას იმისათვის, რომ მეორე რიგის სამი ღუმელი 1935 წლისათვის ამუშავდეს. სულ მცირე ხნის განმავლობაში ფეროს ქარხანაში გაიზარდენ ადამიანები, რომლებიც დაეუფლნენ ქარხნის მეტად რთულ დანადგარებს. ახლა ფეროს ყავს თავისი სახელოვანი ადამიანები. ესენი არიან: **ვ. სილაძე, შ. ლორია, ფარულაძე, ჩახოიანი, ბერიაცკი, ომანაძე, ვანდიშევი** და სხვები. **სილაძე**, გუშინდელი მტვირთავი მუშა, დღეს რთულ მანქანაზე მუშაობს და სახელოვანი მდნობელი არის. **ლორია**, გუშინდელი ახალგაზრდა გლეხი, რომელმაც ცხოვრება ყანაში მუშაობით დაიწყო, დღეს რთული მანქანების სპეციალისტია, **ჩახოიანცი**, გუშინდელი კურტნიანი მუშა, დღეს რთული ტექნიკის მცოდნე მუშად გახდა. სხვა მრავალიც გამოზარდა ფერომ, რომლებიც გმირულად იბრძვიან ღუმელების ნორმალური მუშაობისათვის და ქარხნის რთულ დანადგარების ათვისებისათვის.

აქ შენდება ფერომარგანეცის დიდი კომბინატი, სადაც შევა აგლომერაციული ქარხანა 18 ღუმელით. მისი მშენებლობა დაიწყება და დამთავრდება 1935 წელს. ფერომოლიბდენის ქარხნის მშენებლობა დაიწყება 1936 წლის მეორე ნახევარში და ამავე წელს დამთავრდება. ამავე დროს ფეროს გვერდით აშენდება გიგანტი ფეროქიმიურ კომბინატი. მშენებლობა დაიწყება 1935 წ. ამუშავების პერიოდში ეყოლება 3.500 მუშა.

სულ მოკლე ხანში ჩვენ გვექნება ფეროს დიდი სოციალისტური ქალაქი დაახლოვებით 60.000 მცხოვრებლით. მშენებლობის ასეთი დიდი გეგმა მოითხოვს რაიონის საბჭოთა და პარტიულ ორგანიზაციების დიდ ყურადღებას და ყოველი შესაძლებლობის მაქსიმალურად გამოყენებას.

მიუხედავად იმისა, რომ ზესტაფონმა, როგორც სამრეწველო რაიონმა, დიდად წაიწია ამ უკანასკნელ წლების განმავლობაში, მაინც რაიონის სახალხო მეურნეობაში ჯერ კიდევ დიდი ადგილი უჭირავს სოფლის მეურნეობას.

ზესტაფონის პარტიულმა ორგანიზაციამ სერიოზული მიღწევები მოიპოვა კოლმეურნეობების ბოლშევიკურ მეურნეობებად და კოლმეურნეების შეძლებულად გადაქცევის საქმეში. ამ მხრივ 1934 წ. დიდი გარდატეხის წელიწადია. კოლმეურნეობების გაწმენდა ანტისაბჭოთა ელემენტებისაგან, ძალების სწორად განაწილებამ, ხელმძღვანელობის გულდასმით შერჩევამ, შრომის სწორმა ორგანიზაციამ, მტკიცე დისციპლინამ და ღონისძიებათა გატარებამ მოსავლიანობის გადიდებისათვის მოგვცა კოლმეურნეობების მნიშვნელოვანი ორგანიზაციულ - სამეურნეო და პოლიტიკური განმტკიცება. აი სწორედ ამის შედეგად კოლმეურნეთა მნიშვნელოვანი მასა გადაჭრით დაადგა შეძლებული ცხოვრების გზას (ასე, მაგალითად, **სოფ. საქარის** კოლმეურნეს ამბერკი **გაჩეჩილაძეს** წელს ერგო 125 ფუთი სიმინდი; აქედან ის საკოლმეურნეო ვაჭრობის გზით გაჰყიდის 50 ფუთს სიმინდს. **ლ. არაბიძე**, რომლის შემოსავალი შარშანდელთან შედარებით სამჯერ გაიზარდა, წელს გაჰყიდის 120 ფ. სიმინდს და 37 ფ. სოიას). კოლმეურნე გელესიანმა უკანასკნელ ორ წელში ახალი სახლი აიშენა, შეიძინა საძროხე, ხბო, მოაშენა ინდაურები, ქათმები, ღორები, იგი წელს გაჰყიდის 36 ფ. ღვინოს, რომლის შემოსავლით აპირებს ახალი ავეჯის შეძენას.

ასეთ კოლმეურნეთა რიცხვი ათეულობით ითვლება ჩვენი რაიონის სხვადასხვა კოლმეურნეობაში.

მაგრამ ჩვენს რაიონში არიან ისეთი კოლმეურნეობებიც, რომლებიც მუშაობის კარგ მაგალითებს ჯერ კიდევ ვერ იძლევიან და რომელთა მუშაობაში დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს გარდატეხა.

მიუხედავად იმისა, რომ კოლმეურნეობები დღითიდღე მტკიცდებიან და კოლმეურნეები გადაჭრით დაადგნენ შეძლებული ცხოვრების გზას, მაინც ჩვენს რაიონში კოლექტივიზაციის პროცენტი ჯერ კიდევ მეტად დაბალია (30,2 პროც.). ამის მთავარი მიზეზი ზოგიერთი სასოფლო საბჭოს და პირველადი პარტიული ორგანიზაციების სუსტი მასობრივ - პოლიტიკური მუშაობაა. ჯეროვან სიმაღლეზე არა დგას მუშაობა ინდ. მეურნეთა კოლმეურნეობებში მიზიდვისათვის, აგრეთვე ზოგიერთ სოფელში კლასობრივი მტრის ნაშთებს ჯერ კიდევ აქვთ გავლენა ინდივიდუალური გლეხობის ჩამორჩენილ ნაწილზე. ცხადია, ეს გარემოება ჩვენი ძირეული პარტიული ორგანიზაციების მუშაობის სისუსტით უნდა აიხსნას.

ზესტაფონის რაიონის სოფლის მეურნეობის ძირითად დარგს მევენახეობა შეადგენს. მიუხედავად იმ მზრუნველობისა, რომელსაც ყოველთვის იჩენდა და იჩენს ხელისუფლება და პარტია ამ მნიშვნელოვან სამეურნეო დარგისადმი, იგი მაინც ჯერ კიდევ ვერ დგას სათანადო სიმაღლეზე.

ჩვენს რაიონში მევენახეობის პროდუქტიობის ზრდა მეტად სუსტია. გამოსაყენებელი მიწის 41 პროც. ვენახებს უჭირავს, მისი ფართობი 3,740 ჰექტარს უდრის. ეს მცირე ფართობი არაა. მაგრამ ჩვენი რაიონის ვენახების საშუალო მოსავლიანობა, კახეთის რაიონებთან შედარებით, დაბალია. ამის მიზეზებია:

1) მობერებული ვენახების (რომელთაც თითქმის დაკარგეს ნაყოფის მიცემის უნარი) საკმაოდ დიდი პროცენტი (20 პროც.).

რაიონის არასაკმაო მომარაგება შაბიამანით, ისიც დაბალი ხარისხის შაბიამნით.

3) ვაზის ჯიშების აღრევის ხშირი შემთხვევა:

4) შრომის ორგანიზაციის მოუწესრიგებლობა, კოლმეურნეობათა სავენახე ფართობების მოუწყობლობა და აგროღონისძიებათა სუსტად გატარება.

საქარის საცდელი სადგური მეტად სუსტ მომსახურებას უწევს რაიონის მევენახე გლეხებს საქმის რაციონალურად დაყენებაში. იგი მეტად კარჩაკეტილ ცხოვრებას ეწევა. მეცნიერულ ნიადაგზე მიღებული დასკვნების პრაქტიკული განხორციელებისათვის არაფერს არ აკეთებს. საბჭოთა მევენახეობის სამეცნიერო დაწესებულებათა მუშაობაში დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს გარდატეხა, რათა მათ ნამდვილი დახმარება გაუწიონ ჩვენში სოციალისტურ მევენახეობის განვითარებას.

მევენახეობის განვითარების შესახებ საკავშირო მთავრობის დადგენილების საფუძველზე ზესტაფონის რაიონის საბჭოთა და პარტიულმა ორგანიზაციებმა დასახეს კონკრეტული ღონისძიებები. დაიწყო და თებერვლის 15-მდე დასრულდება ვენახის პასპორტიზაცია. ეს ღონისძიება ვენახების არსებული მდგომარეობისა და მომავალ პერსპექტივების ნათელს სურათს მოგვცემს.

ზესტაფონის პარტიულმა ორგანიზაციამ საკმაო ყურადღება მიაქცია მეცხოველეობის განვითარებას. წინა წლებში ზოოტექნიკური მომსახურება მეტად სუსტი იყო. ახლა ამ მიმართულებით სერიოზული მიღწევები გვაქვს. მუშაობს ორი ზოოტექნიკი; სას. საბჭოებთან ჩამოყალიბებულია მეცხოველეობის სექციები, მოწყობილია საგრილებელი პუნქტები. ამისათვის ჯერჯერობით დაჯავშნულია 116 ბუღა. საბჭოებში არჩეული არიან ზოორწმუნებულები. 50 ჯიშიანი ღორი, განაწილებულია კოლმეურნეობებს შორის. რუსეთში ვიძენთ იორკშირის ჯიშის 25 კვერატს. აშენდა სამოცი სასილოსი ორმო 40000 ცენტნერის ტევადობით. შეძენილია აგრეთვე 400 მოზვერი; უძროხო კოლმეურნეებმა შეიძინეს 450 დეკეული; შენარჩუნებულია ნამატი. საქონლის საზამთრო დაბინავება კარგად ჩატარდა. გაძლიერებულია ვეტმომსახურება, მოწყობილია 2 ვეტპუნქტი. რაიონში მუშაობს ორი ვეტ. ექიმი და 3 ფერშალი. მეცხოველეობის განვითარების დარგში ჩატარებულმა მუშაობამ მოგვცა წინსვლა ამ დარგში. ასე, მაგალითად, თუ ჩვენს რაიონში 1932 წელს 1759 მსხვილფეხა რქოსანი საქონელი იყო, ახლა არის 18871 (ზრდა უდრის 7,2 პრ.). ცხვრის ზრდა უდრის 13 პროც., თხის—72 პრ. და ღორის—7 პრ.

ამ ორი წლის წინათ რაიონს მეტად ცუდი გზები ჰქონდა. როგორც რესპუბლიკურ, ისე რაიონულ და სასოფლო გზებზე ისეთი ლაფი და ტალახი იყო, რომ გავლა არ შეიძლებოდა. 34 წ. ჩვენ დავისახეთ საგზაო მშენებლობის დიდი გეგმა. მშრომელი მოსახლეობის ენთუზიაზმით და ყველა შესაძლებლობის მაქსიმალური გამოყენებით ჩვენ მივაღწიეთ იმას, რომ საგზაო მშენებლობის წლიური გეგმა 165 პროც. შესრულდა. ამ მიღწევით ზესტაფონის რაიონი საგზაო მშენებლობის დარგში მოწინავეთა რიგებში დადგება.

უკანასკნელ ხანებში ზესტაფონის რაიონის დიდ საზრუნავ საგნად გადაიქცა საქალაქო მეურნეობის განვითარება. მრეწველობის სწრაფმა ზრდამ გადაუდებელ ამოცანათ დააყენა საქალაქო მეურნეობის მოწესრიგების საქმე. დამუშავებულია ქალაქის განვითარების გენერალური გეგმა. დაწყებულია დიდი თეატრის მშენებლობა, რომელიც დაჯდება 1.500.000 მან. და რომელიც დაიტევს 700 მაყურებელს. თეატრის მშენებლობა აუცილებლად დასრულდება 1936 წელს. შედგენილია და დამტკიცებულია მდინარე ყვირილაზე, დიდი ხიდის აგების ხარჯთაღრიცხვა. ხიდის მშენებლობა დაიწყება 1935 წლის დამდეგს; ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებულია ამ საქმეზე 600.000 მან. 1935 წ. დაიწყება სასტუმროს დიდი შენობის აგება, რომელიც დაჯდება 600.000 მან.

მოწყობილია სამალარიო და ტუბერკულოზის დისპანსერი, ფიზიოთერაპევტული კაბინეტი, რენტგენის კაბინეტი. 35 წ. დაიწყება წყალსადენის სამუშაოები. ამავე წელს, მოხდება კანალიზაციის დაპროექტება და ყველა ქუჩის მოკირწყვლა. თავისუფლების მოედანზე გაიმართება დიდი დასასვენებელი პარკი. უკვე დაიწყო ქუჩების გამწვანება.

ზესტაფონში მოსახლეობა არაჩვეულებრივი სისწრაფით იზრდება. ასე, მაგ., 32 წელს, ითვლებოდა 7000 მცხოვრები, ამჟამად 9000 ითვლება, ხოლო ფეროში—5000. ს. ქალაქმა მნიშვნელოვნად შეიცვალა სახე. ვაჭრების და მიკიტნების ქალაქი უკვე გადაიქცა ინდუსტრიალურ ქალაქად. ფეროს დიდი გიგანტი, ადგილობრივი მრეწველობის ახალი ქარხნები, ავტომობილები, ელექტრომავლები, მექანიზებული ღვინის სარდაფები; თეატრის, სასტუმრო, ხიდის, წყალსადენის სამუშაოთა ბოლშევიკური ტემპები—აი რა ასხვავებს ახალ ზესტაფონს ძველი ზესტაფონისაგან. არღნების მიკიტნების და უსაქმო ხალხის ხმაურის ნაცვლად ისმის ქარხნების, საყვირების, ელექტრომავლების, ავტომობილების და საერთოდ გრანდიოზული მშენებლობის საერთო ხმაური. ქ. ზესტაფონის განვითარების ჩქარი ტემპები უდიდეს ამოცანებს აყენებს ზესტაფონის პარტიული ორგანიზაციის წინაშე.

რაიონის პარტიულმა ორგანიზაციამ ბოლშევიკურად მოჰკიდა ხელი 1934—35 სასწავლო წლისათვის სკოლების მომზადების საქმეს. ჩატარებულ მუშაობის კარგმა შედეგებმა ზესტაფონის რაიონს არგუნა რესპუბლიკაში პირველობა და გარდამავალი დროშა.

ზესტაფონის პარტიულმა ორგანიზაციამ 1934 წელს პარტიის და მთავრობის მიერ დასახული ამოცანები წარმატებით გადასწყვიტა. ასევე წარმატებით გადასწყვეტს იგი 1935 წლის უფრო რთულ და საპასუხისმგებლო ამოცანებს საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა ბოლშევიკურად განხორციელების საფუძველზე.

◆

◆

ითელი არმიის და
ლოტის ცენტრალუ
ი თეატრის 5 წლის
რსებობის საიუბი-
ეო ზეიმი შესდგა
0 დეკემბერს.
ურათზე; არტის-
ი ბ. ბაბოჩკინი, კი-
ოფილმ „ჩაპაევში"
ჩაპაევის როლი შე-
სრულებელი ესალ-
ება თეატრის მუშა-
ებს ჩაპაევის გრიმ-
ში.

◆

ყაზბეგის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში

1933 წელს ყაზბეგის სადგურზე საფუძველი ჩაეყარა მხარეთმცოდნეობის ახალ მუზეუმს, რომელშიაც ამჟამად თავმოყრილია მთელი მასალა, რაც ეხება მოხევეთა ცხოვრებას, ყოფა-ცხოვრების და მდიდარი წარსულის შესწავლას.

საქართველოს მთელი რიგი მეცნიერული დაწესებულებანი მუზეუმში აწყობენ თავის კუთხეებს.

საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოება გამოფენს მასალებს, რაიონის გეოგრაფიისა და რელიეფის შესახებ. ყინვარების და ყაზბეგის მწვერვალზე ყველა ასვლის აღწერას, ტურიზმისა და ალპინიზმის მასალებთან ერთად, მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტი ამზადებს მასალებს მოხევეთა რაიონში რევოლუციური მოძრაობის ისტორიის შესახებ.

საქართველოს ჯანსახკომი და განსახკომი მუზეუმში აწყობენ სპეციალურ კუთხეებს. სადაც ნაჩვენები იქნება ჯანმრთელობის დაცვის საქმის და სასკოლო ქსელის განვითარება ყაზბეგის რაიონის მთის სოფლებში,

მუზეუმის განსაკუთრებულ კუთხეებში წარმოდგენილი იქნება მასალები ანდეზიტის დამუშავების, ყველის ქარხნების მუშაობის შესახებ. აგრეთვე მასალები, რომელნიც ასურათებენ სოციალისტური მეცხოველეობის განვითარებას.

სასახლის ორი ოთახი დაეთმობა მწერლის ა. ყაზბეგის და პოეტის ვაჟა-ფშაველას მუზეუმს.

მხარეთმცოდნეობის გაფართოებული მუზეუმის გახსნა ყაზბეგში მოხდება ამა წლის 1 მაისს. მუზეუმი, ეჭვს გარეშე, საკავშირო მნიშვნელობას მიიღებს, რადგან იგი მოთავსებულია ისეთ ადგილას, სადაც ხშირად დაიარებიან საბჭოთა კავშირის მეცნიერული და ტურისტული ექსკურსიები, აგრეთვე უცხოელი ტურისტები (ადს).

—○—

საბავშვო კლუბი განათლების მუშაკთა სახლში

განათლების მუშაკთა სახლში (თურქესტანის ქუჩა № 3) მოეწყო საბავშვო კლუბი—განათლების მუშაკთა შვილებისათვის. კლუბში ჩამოყალიბებულია ელექტროტექნიკის, ჰიდრავლიკის, დრამატურგიის, ცეკვის, მუსიკის, ლიტერატურის, ესპერანტოს და სხვ. წრეები. მეცადინეობა იწარმოებს სისტემატიურად დილის 10 საათიდან 12 საათამდე და საღამოს 4 საათიდან 6 საათამდე.

—○—

ბათომში შენდება საავადმყოფოს უბანი

ბათომი, 5 იანვარი. ბათომში შენდება საავადმყოფოს უბანი 500 საწოლით. მშენებლობის საერთო ღირებულება—3 მილიონი მანეთი, უკვე დამთავრდა და ექსპლოატაციით გადაეცა სამეანო-გინეკოლოგიური კორპუსი 75 საწოლით. დაწყებულია ქირურგიული კორპუსის მშენებლობა და სხვ. უბანი შენდება უახლესი სამკურნალო მოთხოვნების მიხედვით. მოწყობილი იქნება ყველა საჭირო კაბინეტი და დამხმარე დაწესებულება. (ადს).

ფიზკულტურული მუშაობის 1935 წლის გეგმა დამტკიცდა

საქართველოს ფიზიკური კულტურის უმაღლესმა საბჭომ დაამტკიცა 1935 წლის ფიზიკური კულტურის სამუშაო გეგმა. ყველა სახის სასპორტო კოლექტივების მზადებასთან ერთად ჩატარდება მთელი რიგი შეჯიბრები სასპორტო კოლექტივთა შორის.

თებერვლის პირველ რიცხვებში, ბაკურიანში იწყება რესპუბლიკური შეჯიბრება უწყებათა შორის, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ უწყებათა საუკეთესო მოთხილამურენი, შეჯიბრებაში ამორჩეულნი იქნებიან საქართველოს საუკეთესო ძალები. ა.-კ. შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად. რომელიც ბაკურიანში ჩატარდება მარტის პირველ რიცხვებში.

★



ტფილისში თანდათან ვითარდება ბოქსი. სურათზე; ბოქსიორი ბიძიანი (საშუალო წონის) საქართველოს ჩემპიონი.

★

საინტერესო იქნება შეჯიბრებანი ძალოსნობაში (ფრ. ჭიდაობა, კრივი, სიმძიმეების აწევა). მარტის ბოლო რიცხვებში ჩატარდება საქართველოს საუწყებათაშორისო საუკეთესო კოლექტივების შეჯიბრება, რომელზედაც ამოირჩევიან საქართველოს საუკეთესო ძალოსნები ა.-კ. შეჯიბრში მონაწილეობის მისაღებად. ივნისის ბოლო რიცხვებში ტფილისში ჩატარდება ა.-კ. ველოსიპედისტების შეჯიბრება.

დიდ მუშაობას ჩაატარებს ზაფხულის პერიოდში წყლოსანთა სექცია (ცურვა, წყალში ხტომა, ნიჩბოსნობა, ვიტერპოლო), რაც დასრულდება წყლოსანთა დღესასწაულით ქ. სოხუმში, რომელზედაც ამოირჩევიან საქართველოს საუკეთესო ძალები.

საინტერესო მუშაობა მოელით მძლეოსანთა, (სირბილი, ხტომები და სხვა), ჩოგბურთელთა, ფრენბურთის კალათბურთისა და ფეხბურთელთა სექციებს, საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრები გუნდი მიმდინარე წლის საშემოდგომო სეზონს დაასრულებს საბჭოთა კავშირის ნაკრებ გუნდთან, შეხვედრით, რომლის ჩატარებაც ტფილისშია განზრახული.

სათანადო ყურადღება ექცევა ტანმოვარჯიშეთა, მოჭადრაკე - მოშაშეთა, სროლის, ფარიკაობისა და სხვა სასპორტო სექციებს. რომელთა მუშაობაც გასულ წლებთან შედარებით შესამჩნევად გამოცოცხლდება.

მიმდინარე წელს განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ფიზკულტურულ მუშაობას ბავშვთა შორის.

თ—ძე.

◆◆

მოდიან მხატვართა ახალი კადრები

მეორე წელიწადია, ტფილისში არსებობს სამხატვრო-პედაგოგიური ტექნიკუმი რომლის მიზანია საშუალო კვალიფიკაციის მხატვართა მომზადება.

ტექნიკუმი ამჟამად მუშაობს საქართველოს საბჭოების მეშვიდე ყრილობისათვის გამოფენაში მონაწილეობის მისაღებად. მოწაფეთა ძალებით (მეორე და მესამე კურსი) შესრულებულია რამდენიმე სურათი 30 სხვადასხვა თემაზე ახალგაზრდა ხელოვანთა ნამუშევარი ყოველგვარ მოლოდინს აჭარბებს ისინი უპასუხებენ ჩვენი ცხოვრების თანადროულ და მეტად მნიშვნელოვან მოვლენებზე.

სურათების უმრავლესობაში იგრძნობა კონტურების სისწორე, პერსპექტივის სიცხადე და ფერების მართებული განაწილება.

უცქერი „ძველ სოფელს", თავისი დამახასიათებელი სილატაკით, უსუფთაობით, ეკლესიით, მღვდლით, ჩოფარით და შევიწროვებული გლეხებით და თითქოს არ გჯერათ რომ იგი მეორე კურსის სტუდენტ ბოჭორიშვილს ეკუთვნოდეს. ძველ სოფელს „ახალი სოფელი" უპირდაპირდება თავისი დამახასიათებელი აღმშენებლობით კულტურით. მოძრაობით ამ სურათის ავტორია მეორე კურსელი ახალგაზრდა ციმაკურიძე.

მრავალფეროვნადაა წარმოდგენილი ტფილისის აღმშენებლობა. ჩელიუსკინელთა სახელობის ხიდის მოცემა ბევრს უცდია, მაგრამ ოსტატური შესრულებით მოსწავლე ბეჟანაშვილის (მე-2 კურსი) ნამუშევარი ყველაზე წინ დგას. მის მიერ დახატულ სურათში იგრძნობა ხიდის სიმაგრე. მასალის სიმკვრივე ყურადღებას იქცევს „ქარხნების გამწვანება". „სანაპირო ქუჩა". „ფედერაციის მოედანი". „მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტი". „შადრევანი პლეხანოვის პროსპექტზე" და ამ ტილოთა ახალგაზრდა ავტორები: ნათელა იანქოშვილი, ქეთო ბაღთაძე, ზარქუა, ხუხიშვილი.

მშვენიერია „მანდარინის კრეფა" (გელაშვილი) „რევოლუციონერ შევარდნაძის მოკვლა გურიაში" (ტოროტაძე), ხოლო „სტალინი საპატიო ყარაულში კიროვის ცხედართან (ლონდლიძე) და „ჩაპაევი" (ფოცხიშვილი), ისეთი სურათებია, რომელთაც ალბად კვალიფიციური მხატვარიც სიამოვნებით მოაწერდა ხელს.

აღსანიშნავია პედაგოგიური პერსონალის ენერგიული მუშაობა მხატვართა ახალი კადრების აღსაზრდელად. ტექნიკუმის დირექტორი ამხ. ამიროვი, ფერწერის ოსტატი ლემონჯავა, მხატვარი ციმაკურიძე, ხაზვის და პერსპექტივის ოსტატი — მამალაძე და სხვა ზოგად დისციპლინათა მასწავლებლები (ჯანიშვილი, როხიტაშვილი) არავითარ ღონეს არ ზოგავენ იმისათვის, რომ ტფილისის სამხატვრო ტექნიკუმმა მართლაც და ღირსეული ოსტატები მისცეს ქვეყანას.

სურათზე; სამხატვრო ტექნიკუმის მე-2 კურსის სტუდენტი ნინო ძიძიგური ამთავრებს სურათს „წითელი არმიელი სადარაჯოზე".

—○—

მოწაფეთა პრაქტიკული მუშაობა მჭიდროდაა დაკავშირებული სასწავლო პროგრამასთან. მოსწავლეები ხატავენ სურათებს მშობლიური ენის, ისტორიის, ფიზიკა-ქიმიისა თუ სხვა გაკვეთილებზე დამუშავებულ თემათა მიხედვით.

ნ. პაიჭაძე

საქართველოს სახკინმრეწვში

გამოშვებულია სურათები „მდინარეს გაღმა"—რეჟისორი შ. ბერიშვილი, ხმოვანი ფილმი „არშაული"—რეჟისორი დ. რონდელი და ახალი დოკუმენტალური ფილმი „კოლხიდმშენი". დამტკიცებულია ამხ. მდივანის სცენარი (რეჟისორი ესაკიასთვის) „მფრინავი მლებარი", აგრეთვე დამთავრებული და დამტკიცებულია სცენარები „უღელტეხილი", „ალისფერი ვარდი" და „სიმონა".

რეჟისორი მაკაროვი ამჟამად მუშაობს სცენარზე „გიმნაზიელები" (სიმწიფის მოწმობა). ფილმი აგებული იქნება ტფილისის მასალაზე, ამ კინო-სურათში მაყურებელი შეხვდება ზოგიერთ გმირს ფილმიდან „ნაძვამდის", მაგრამ ახალ პოსტებზე და ახალ სიტუაციაში. ფილმის დადგმა დაიწყება და დამთავრდება 1935 წელს.

ტფილისის და რაიონების ყველა კინოთეატრებში მოწყობილია ფოტოგამოფენები „ჩვენი მიღწევები".

აგებულია ახალ ხმოვან ატელიეს პირველი სართული. გადაცემულია საექსპლოატაციოდ პირველი რიგის ქვესადგური, დამთავრებულია კინოთეატრების „ტემპის" და „ოქტომბერის" ფასადების გაფორმება (ადს).

◆◆

ახალი გაზეთი ლუქსემბურგში

23 დეკემბერს საბჭოთა რაიონულ ყრილობასთან დაკავშირებით გამოვიდა პირველი ნომერი თურქულ-გერმანულ გაზეთის — „როტეფანე-ალბარალ". პირველი ნომერი მიძღვნილია საბჭოთა რაიონულ ყრილობისადმი მასში მოთავსებულია მასალები რაიონის და ამხ. კიროვის სახელობის გერმანულ კოლმეურნეობის მიღწევების შესახებ, სოციალისტურ მშენებლობის ფრონტზე. მეორე ნომერში მოთავსებულია წერილი ადგილობრივი სასოფლო სამეურნეო ტექნიკუმის მუშაობის შესახებ, დადგენილება პირუტყვის ხელახლა აღრიცხვის შესახებ, ანგარიში ცალკე ბრიგადების მუშაობის შესახებ და სხვ.

—□—

მოზარდ მაყურებელთა თეატრი

„ჩვენ გავიმარჯვებთ"

ძნელი ამოცანა იდგა ახალგაზრდა ავტორების: შ. კუტავას და ბ. გამრეკელის წინაშე; ავტორებს, რომლებიც ნაკლებად იცნობდენ ზანგების ნამდვილ ცხოვრებას, უნდა შეექმნათ პიესა (ზანგების) ცხოვრების თემაზე. მიუხედავად ამისა, ავტორებმა და დამდგმელმა შესძლეს საინტერესო სპექტაკლის მიღება. პიესა მოზარდ მაყურებელში იწვევს დაჩაგრული ზანგებისადმი თანაგრძნობასა და სიყვარულს.

მაგრამ ყველაფერი ეს მოცემულია ზოგად სახეებში. განსაკუთრებით არაა დამაჯერებელია 1-ლი მოქმედება, სადაც ავტორები ცდილობენ გადმოგვცენ ზანგების ცხოვრება და მათში რევოლუციური თვითშეგნების განვითარება; არაა გამოყენებული კონკრეტული მასალა, რომ მის ნიადაგზე მოცემულ იქნას პოლიტიკური შეგნების ზრდა ზანგებში.

არა დამაჯერებელია მდიდარ მისტერ ჯემსის ნდობა ზანგ ბავშვისადმი; მეტისმეტად გულუბრყვილოდ მოსჩანს აქ მისტერ ჯემსი. დამდგმელებმა ვერ შესძლეს პიესის ძირითადი ნაკლის დაძლევა; განსაკუთრებით ეს უკანასკნელ მოქმედებაზე ითქმის.

რეჟისორ გამრეკელს მაინც დიდი მუშაობა ჩაუტარებია. კარგად არის დამუშავებული მე-2 მოქმედება (კერძოდ მეზღვაურების სცენა).

მოთამაშეებიდან უნდა აღინიშნოს ახალგაზრდა მსახიობი დ. ცხაკაიას (ჩარლ) ნიჭიერი თამაში. მებრძოლი მეზღვაურის ტიპი განსახიერა მსახიობმა მ. ციციშვილმა (ტიმოთი) აუტანელ ეკონომიურ მდგომარეობაში ჩავარდნილი, გულუბრყვილო ზანგი ბავშვის სახე ოსტატურად არის გაკეთებული მსახიობ თ. თვალიშვილის (ლიბენჯი) მიერ ასევე კარგია გ. კუპრაშვილის და ი. დონაურის თამაში.

სერგო ჭილაია.

განსახკომის 1-ლი სადღელი საბავშვო კერა 1921 წელს გაიხსნა. ის მოთავსებულია კარგ ბინაში, მომსახურეობას უწევს 180 ბავშვს. კერაში მოწყობილია პედაგოგიურ - პედოლოგიური ლაბორატორია, სადაც სპეციალისტები ახდენენ ცდებს და აწარმოებენ დაკვირვებას ბავშვებზე. მიღებულ დიდაქტიკურ მასალას აწვდიან რესპუბლიკის საბავშვო კერებს. აქ ბავშვების მეცადინეობა, თამაში, კვება სათანადო სიმაღლეზე დგას. სანიმუშოდ დაცულია სისუფთავე. კეთილმოწყობილ კერაში ბავშვებში თავიდანვე მუშავდება სოციალისტური ჩვევები. აღნიშნული საბავშვო კერა თავისი მუშაობით მისაბაძი მაგალითია.

მუშაობა სკოლების რადიოფიკაციისათვის

კავშირგაბმულობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სამართველო რადიოკომიტეტთან ერთად დიდ მუშაობას ეწევა ტფილისის სკოლების რადიოფიკაციისათვის. მთელი მუშაობა სკოლების რადიოფიკაციის დარგში უნდა დამთავრდეს 10 იანვრამდე.

საზამთრო არდადეგების პერიოდში განზრახულია საბავშვო გადაცემის ხანგრძლივობის გადიდება; ამისათვის შემუშავებული იქნება მაღალხარისხოვანი მხატვრული პროგრამა (ადს)

—□—

ჭადრაკი

საკავშირო შეჯიბრების შედეგები

უკანასკნელი ტური

კავშირის უძლიერეს მოჭადრაკეთა შეჯიბრების უკანასკნელ ტურში: კანმა მოუგო იუდოვიჩს, მაკაგანოვმა—ალატორცევს, ვერესოვმა—იუდოვიჩს, რაუზერმა—დუბინინს და ბოგატირჩუკმა—მაზელს. რაგოზინ—სავიცკის, პანოვ—ლევენფიშის, ფრეიმან—ჩეხოვერის და რიუმინ—ლისიცინის პარტიები ყაიმით დასრულდა.

შეჯიბრების საბოლოო შედეგები ასეთია: პირველი და მეორე ადგილი გაიყვეს: ლევენფიშმა და რაბინოვიჩმა, (ორივე ლენინგრადელი) +12, მესამე და მეოთხე ბოგატირჩუკმა (კიევი) და რიუმინმა (მოსკოვი) +11½. შემდეგი ოთხი ადგილი გაიყვეს ლენინგრადელებმა ოსტატებმა: ალატორცევმა, ლისიცინმა, რაგოზინმა და ჩეხოვერმა +10½, შემდეგ მაკაგანოვი (ბაქო), ბელავენეცი, კანი და იუდოვიჩი (სამივე მოსკოველი) +10, პანოვი და ვერესოვი +9, მაზელი და სავიცკი +8½, რაუზერი +7½, ილინ ჟენევსკი და დუბინინი +7 და ფრეიმანი +4½.

—·—

ქალთა საკავშირო შეჯიბრებაში პირველი ადგილი დაიკავა ლენინგრადის წარმომადგენელმა სემენოვამ, რომელმაც ცხრა შესაძლებლობიდან მოაგროვა + 7 ქულა.

—·—

კავშირის საუკეთესო მოთამაშეთა შეჯიბრებაში, პარტიის წაუგებლივ პირველი ადგილი დაიკავა მოსკოვის წარმომადგენელმა ტომკოვსკიმ +12 (17-დან).

ტფილისის საოპერო თეატრში

წარმოდგენების მაღალი ხარისხისათვის ბრძოლაში, ტფილისის სახელმწიფო ოპერის თეატრის დირექციამ საფუძვლიანად გადასინჯა ოპერის რეპერტუარი. შედეგად რეპერტუარში დატოვებულია სახელწოდებათა მინიმუმი, გამორიცხულია ოპერები, რომელნიც თავისი მომზადებით და გაფორმებით არ წარმოადგენენ მხატვრული ღირებულების მქონე წარმოდგენებს.

უახლოეს დროში დაიდგმება ახალი გაფორმებით ოპერები „ჩერევიჩკი" — ჩაიკოვსკის, „ჩიო-ჩიო-სან"—პუჩინის, აგრეთვე „ოტელო"—ვერდის.

განახლდება ზ. ფალიაშვილის ოპერის „აბესალომ და ეთერის" დადგმა. წარმოებს მზადება ლ. გალევის ოპერის „რაჰელის" დადგმისათვის.

სეზონის დამლევს ტფილისში მოელიან მოსკოვის პირველ სამხატვრო თეატრს, რომელიც დადგამს 30-მდე საგასტროლო წარმოდგენას.

თვითეული მსმენელი, რომელსაც აქვს ოპერის აბონემენტი, დაესწრება სამხატვრო თეატრის ერთ წარმოდგენას (ადს),

—□—

ტფილისში — კიროვის ქუჩაზე გაიხსნა „რეზინოსბიტის" სანიმუშოდ მოწყობილი მაღაზია. მაღაზია ვაჭრობს რეზინის ნაწარმით ფართო ასორტიმენტით.

სურათზე: მაღაზიის ერთერთი ვიტრინა.

მუსიკალური სატირის თეატრში

„თავი სიზმარში მგონია" ს. ფაშალიშვილისა. რეჟისორები მ. ჭიაურელი და დ. ძნელაძე.

პიესის ავტორს მიზნად დაუსახავს გაეშუქებია ტფილისის გლეხთა სასახლის მუშაობა და კოლმეურნე გლეხების ზოგიერთი საყოფაცხოვრებო საკითხი. კოლმეურნე თადე მიემგზავრება ტფილისში და თან მიაქვს რამდენიმე ათასი მანეთი სახელმწიფო ფული. მას მიჰყვება ყოფილი მამასახლისი, კოლმეურნეობაში შეპარული ელემენტი. მამასახლისის ჩაგონებით თადე ღამეს ათევს კერძო სამიკიტნოში, სადაც კარგავს, აგებს საკუთარ ფულს, ხოლო შემდეგ ჯიბგირები ართმევენ კოლმეურნეობის ფულს და მსუბუქადაც დაჭრიან. როგორც პიესიდან ჩანს, თადეს ეს ამბავი არ მოუვიდოდა, რომ ღამე გლეხთა სასახლეში არ გაათია. საქმეში ერევა მილიცია, ქურდბაცაცებს და მამასახლისს აპატიმრებენ და თადეს უბრუნებენ თავის ფულს. თადე ახლა უკვე გლეხთა სასახლეში [illegible] და გულწრფელად იძახის: „თავი სიზმარში მგონია".

შევჩერდებით პიესის ზოგიერთ შინაგან შეუსაბამობაზე, როგორც ჩანს, ნაწარმოები შეეხება საკოლმეურნეო მოძრაობის უახლოეს ეპოქას. ის მჟღავნდება შემდეგიდან, მთავარი მომქმედი პირი თადე შეძლებული კოლმეურნეა, მას კოლმეურნეობიდან ერგო 1500 მანეთამდე, ქალაქში მოწყობილია მშვენიერი საკოლმეურნეო ბაზარი, კაჭრები ჩივიან იმაზე, რომ მათ ვერ მიიღეს პასპორტი და სხვა. ყველაფერი ეს უკანასკნელი წლების ამბებია. ხოლო ამ სურათების გვერდით ვხედებით კულაკს. რომელიც დღესაც აშკარად იბრძვის, შუა დღით ჰკლავს კოლმეურნეობაში განსაზოგადოებულ კამეჩს: შემდეგ სახლში ევარდება კოლმეურნეს და სურს „გაკრისოს" მისი პიონერი შვილი. პიესა აგვიწერს, რომ ქალაქში არსებობს კერძო სამიკიტნოები, სადაც დარდიმანდულად ქეიფობენ ფართო შარვლიანი კინტოები. ასეთ რამეს კი ჩვენში ამჟამად ადგილი აღარ აქვს. ამრიგად, ერთმანეთში არეულია წინა და უახლოესი წლების მასალა, რითაც იქმნება შეუსაბამობა.

თვითონ ძირითადი კვანძი, სახელმწიფო ფულზე გადაცემა მრავალ გზის გამოყენებული და გაცვეთილი მომენტია. კოლმეურნე აქტიური გლეხი თადე იმდენად უვიცადაა წარმოდგენილი, რომ მან არ იცის, თუ რამდენი იქნება ოცი და ოცი.

როგორც ჩანს, არც რეჟისორებს (მ. ჭიაურელი და დ. ძნელაძე) მიუქცევიათ პიესის, ამ ნაკლოვანებებისათვის ყურადღება. კარგად არის გაკეთებული სპექტაკლის მეორე მოქმედება. აქ აშკარად იგრძნობა, რომ პიესის ავტორი იცნობს ძველი ტფილისის ყოფაცხოვრებას. სპექტაკლში შექმნილია ჩარჩ-მიკიტნების და ვაჭრების ცოცხალი ტიპები. თეატრმა მართებულად გამოიჩინა სიფრთხილე, არ გამოსულიყო ამ ტიპების იდეალიზაცია. მაგრამ ეს სიფრთხილე უკიდურესობაში გადადის, სპექტაკლის დასასრულს მსახიობები აცხადებენ, რომ ისინი მხოლოდ როლის შემსრულებელნი ყოფილან და არა ნამდვილი ვაჭრები და იხსნიან გრიმებს. ასეთ მოტივს უდავოდ დისონანსი შეაქვს ფაბულის განვითარებაში.

სცენური გაფორმების მხრივ აღსანიშნავია, გათენების პეიზაჟი სოფლად, სამიკიტნო და გლეხთა სასახლის კლუბი.

მსახიობა ოსეფაშვილი (დარჩო) მთელი გულწრფელობით ასრულებდა თავის როლს აგრეთვე აღსანიშნავი იყო ა. [illegible]ლაშვილის (თადე) და თ. კოკაძის ([illegible]) თამაში.

თეატრმა უნდა გაამახვილოს ყურადღება ნაწარმოების იდეურ მხარისადმი.

მ. გვასალია.

—□—

ქრონიკა

დღეს, 1 საათზე განსახკომში (ამხ. თათარიშვილის კაბინეტში) შედგება უმაღლესი სასწავლებლების და ტექნიკუმების მესამე საკავშირო შეჯიბრების რესპუბლიკური კომიტეტის სხდომა, რომელსაც უნდა დაესწრონ შემდეგი ამხანაგები:

თათარიშვილი (განსახკომი), დევაძე („ახ. კომუნისტი"), მეტრეველი (საქ. ალკკ ცეკას პ.-მგ. ინსტრუქტორი), გორდელაძე (განსახკომი). მეძმარიაშვილი (ადგ. მრეწ. კომისარი.), ცინცაძე (მიწსახკომი), ლლონტი (ჯანსახკომი). კულიჯანოვი (საქ. კ.პ. (ბ) ცეკა), გოგონია (პროფსაბჭო).



ფედირ ნიჟარაძე სოფ. გეგელიძეების (ქედის რაიონი) დამკვრელი კოლმეურნეა. მას უყვარს პირუტყვი, მისი ბუღა საუკეთესოდაა მოვლილი. ბოსელი აქვს, სუფთა და ნათელი.

სურათზე; ფედირ ნიჟარაძე თავის ბუღასთან.

—●—

საქ. სახკომსაბჭოს დადგენილება

ტელეგრაფ-ტელეფონის ხაზების დაზიანებასა და დანგრევასთან ბრძოლის გაძლიერების შესახებ.

საქართველოს ს.ს.რ.-ის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. წინადადება მიეცეს რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტებს, საქალაქო და სასოფლო საბჭოებს მიიღონ გადამჭრელი ზომები ტელეგრაფ-ტელეფონის ხაზების შემჩნეულ ხშირ დაზიანებათა წინააღმდეგ (სადენების და ბოძების დატაცება, იზოლატორების დამტვრევა, ბოძების მოჭრა, სადენების მოწყვეტა, მიწისქვეშა სამუშაოთა ჩატარება ორგანიზაციების მიერ დაზიანებათა გამოწვევის და სხვ.). რისთვისაც ჩაატარონ ახსნა-განმარტებითი მუშაობა მოსახლეობაში აღნიშნულ დაზიანებათა მნიშვნელობის შესახებ და განუხრელად აცნობონ პროკურატურის ორგანოებს თვითეული გამოაშკარავებული შემთხვევა დამნაშავეების პასუხისგებაში მისაცემად სისხლის სამართლის კოდექსის სათანადო მუხლების მიხედვით (სისხლის სამართლის კოდექსის მუხლები 78, 58—9 და 1932 წ. 7 აგვისტოს კანონი).

2. წინადადება მიეცეს იუსტიციის სახალხო კომისარიატს უზრუნველყოს, რათა კვლევა-ძიების და სასამართლო ორგანოებმა დააჩქარონ ამ დადგენილების 1-ლ პუნქტში აღნიშნულ დანაშაულთა საქმეების გარჩევა და შეასრულონ კანონის მოთხოვნები დანაშაულით მიყენებული ზარალის ანაზღაურების შესახებ სამოქალაქო სარჩელის უზრუნველსაყოფად ზომების მიღებაზე (მუხლი მე-13 დროებითი წესებისა სისხლის სამართლის საქმეებზე წინასწარი კვლევა-ძიების მოხდენის შესახებ).

საქართველოს ს.ს.რ.-ის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
მგალობლიშვილი.

საქართველოს ს.ს.რ.-ის სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი
ქავთარაძე.

◆◆

პარტკალენდარი

— 9 იანვარს საღამოს 7 საათზე საქ. კ.პ. (ბ) ტფილისის კომიტეტის პარტკაბინეტში (ძმელაძის ქ. № 30) შესდგება ხელმძღვანელ პარტკომკავშირული აქტივის სემინარის მეცადინეობა.

მეცადინეობის თემა: ზინოვიევის ყოფილი ანტიპარტიული ჯგუფი და მისი ნაძირალები.

ოპერისა და ბალეტის სახ. თეატრი 1934-35 წ. სეზონი

დღეს	10 იანვარს	11 იანვარს
18 აბონ 8 წარ	18 აბონ. 8 წარმ. პუჩინი	აბ-2 აბონ 6 წარ.
ქეთო და კოტე	ჩიო-ჩიო-სან (ქ.-ნ ბ. ტერფილი)	რიგოლეტო

12 იანვარს დილით—გედების ტბა. ასაწყ. ის 12 ს. ბილეთები იყიდება.
ის აბონენტები რომლებსაც არ ექნებათ გადახდილი მე-7 საბონემენტო შესატანი. კარგავენ წარმოდგენაზე დასწრების უფლებას ბოლო ათი ადგილები გაიყიდება
ბავშვებს და მოზარდებს 17 წლის ასაკამდე თეატრში შესვლა საღამოს წარმოდგენებზე ეკრძალებათ.
წარმოდგენის დასაწყისი საღამოს ზუსტ 8 საათზე

რუსთაველის თეატრი
9 იანვარს
სტ. აბ. ა. მე-4 წ
მაისტერ
10 იანვრიდან 14 იანვრამდე რუსთაველის თეატრში
წარმოდგენა არ შესდგება
საქ. საბჭოთა მე-7 ყრილობის გამო.

მარჯანიშვილის თეატრი

9 იანვარს აბონ. № 9 მე-3 წარ.	წარმოდგენა № 56 ოტელო
10 იანვარს აბონ. № 1 მე-4 წარმ.	წარმოდგენა № 57 ურიელ აკოსტა
11 იანვარს აბონ. გარეშე	წარმოდგენა № 58 ნინოშვილის გურია

[illegible]
სალარო ღიაა 11-2 ს. 6-9 ს. დასაწყისი 8 საათზე.

ოქტომბერი 5-30, 7-20, 9-10, 11	დადგმის მე 5 კვირა ხმოვანი ფილმი ჩაპაევი პრ. გარეშე—მე-17 ოქტომბერი
დამკვრელი 5-30, 8, 9-30, 11	ხმოვანი ფილმი სამუელ ვულ ის ოქროს დარბაზობა [illegible] № 34
ტემპი 6-30 ს. 9-30, 11	მხატვრული ფილმი ტყის ამბავი [illegible]
რ. ლუქსემბურგის სახ. 5-30, 7-30, 9-10, 11	დადგმის მე 11 კვირა უკანასკნელი მასკარადი დღისით აბრაგი ზაური
„26"-ის კომ. სახ. 6, 7-30, 9, 10-30	მცდარ კვალზე 2 რე სერია დღისით ზამთარი თამაშობა 0

ექ. ბ. ე. ფორცხუა
ხიფილისი კანის და ვენერიული სნეულებანი, შესხმა „914" ხუხუნათი და მისი გართულებათა მკურნალობა.
ავადმყოფთა მიღება 6—8 ა. კალიაევის ქ. № 10 (ყ. ციციანოვის).

1 ლ იანვრიდან ხდება კახეთის მ. ტ. ხ.-ის მუშკოოპ ს
ლიკვიდაცია
15 იანვრამდე მიიღება პრეტენზიები. სადგური კასპი, მტს-ის შენობაში.
62 ლიკვიდკომი.

ტფილისის უბნის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი
ბექუაშვილი
აცხადებს რომ თანახმად საქ. სახ. არბიტრ. ორძანებისა № 3 10801 ა-წ. 11 იანვარს, დღის 2 საათზე—მცხეთაში, საზერბი ქარხნის ეზოში, ის
საჯარო ვაჭრობით გაყიდის
მცხეთის საზერბ ქარხნის კუთვნილ ქონებ ს დიკენის სატყეო მეურნეობის დავალიანების ნაწილობრივ დასაფარავად.
აღწერილი ქონება შეიცავს: 1) ერთ ძრავი [illegible] ფირმის [illegible] 2) ერთ ავტომანქანა ნახევრავი სატარო ფირმის [illegible] 3) [illegible] 4) [illegible] — შეფასებულია 250 მან. თუ დანიშნულ დღეს ვაჭრობა არ შედგება, განმეორებითი ვაჭრობა დაინიშნება 14 იანვარს.
სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი
6460 ბექუაშვილი.

ტფილისის საბჭოს შესაკეთებელ სამუშაოთა კონტორა
„შესაკონტორა"
ღებულობს [illegible] სხვადასხვა დაწესებულების [illegible] შენობათა შიდა და გარეგან გაფორმებას. სამღებრო, სამღებრო და სახურავის [illegible]
[illegible]
სამხატვრო სახელოსნო.
[illegible]
[illegible] № 2 ტფილისის საბჭო, ოთ № 115.
6463 „შესაკონტორა".

ა-წ. 9 იანვარს, საღამოს 7 საათზე, საქ. პროფსაბჭოს დიდ დარბაზში (რუსთაველის პრ. № 17).
მოწვეულია ქ. ტფილისის პროფ. და შეფსექციის
საერთო თათბირი
დღის წესრიგში:
1. 1935 წლის საგაზაფხულო თესვა და [illegible]
2. [illegible] 1934 წლის [illegible]
3. სამხატვრო ნაწილი.
6468 საქ. პროფსაბჭოს შეფსექცია.

ოლღა კიკნაძე და შვილები: კოლია, ბაგრატ, ეორეიკა და თამარა ოჯახებით იუწყებიან დაუვიწყარ
გრიშა დარისპანის-ძე ლეჟავას
გარდაცვალებას.

ღრმად დამწუხრებულნი: მეუღლე ანიკო შვილებით: მერი და გუგული, ძმა პლატონი, რძალი მელიხანი ლეჟავები, დები ლიზა, კატო, ლუბა შვილებით, სიძეები ლეჟავა ცოლშვილით, სიძე [illegible] ჩიკვაიძე, ედიშერი და პლატონ ცქიტიშვილები იუწყებიან დაუვიწყარ
გრიშა დარისპანის-ძე ლეჟავას
გარდაცვალებას.

საქ. უნივერსიტეტი. მუშათა ფ კულტეტთან
გახსნილია
ვაი ერსიტეტში შესასვლელი 6 თვიანი
მოსამზადებელი კურსები
კურსებზე მიიღებიან საშუალო კურსდამთავრებულნი. მეცადინეობა დაიწყო. გრძელდება ახალი განცხადებების მიღება. პირობები [illegible] მუშფაკში, რიყის ქ. № 2 დილით 10—2 ს. და საღ. 7—10 ს.
6401 ტფ. სახელმწიფო უნივერსიტეტი.

„გრუზპოგრუზი"-ს ლიკვიდაციის გამო
გაუქმებულად ჩაითვალოს
ყოველნაირი ქვითრები და ბლანკები, რომლებზედაც აღბეჭდილია სახელწოდება „გრუზპოგრუზი", „საქმტვირთავი" და „მტვირთავი".
465 ლიკვიდკომი.

ექიმი
მ. ნ. [illegible]
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი, სქესობრივი უძლურების მკურნალობა
ავადმყოფთა მიღება დილ. 10—12-მდე. საღ. 7½-8 მ.-დე. ნინოშვილის ქ. № 5 (ყ. ალექსანდროვის) ფაბრიკა „მეგრავი"-ს პირდაპირ
56 5 5

ექიმი
ს. ა. ჩიმელი
დამთავრებული პარიზის და ბერლინის უნივერსიტეტები
[illegible]
[illegible]
10—1 159

მშობლები: ლუბა, იოსებ, ბებია ივდითი, ბიძები: ალისტრო, აკაკი, საშა; მამიდები: ქეთო, მაშიკო, ელენა, ნინა მარო, თიო, ნინა, თამარა, ქმარშვილით, ბაბუა ისიდორე ცოლშვილით იუწყებიან
პატარა გური იოსების-ძე
ოსეფაშვილის
დაკარგვას. დაკრძალვა 11 იანვარს ვერის სასაფლაოზე. გამოსვენება ლენინის ქ. № 54-დან 4 საათზე.

სტამბა „კომუნისტის" ადგილკომი და მუშამოსამსახურეები, ღრმა მწუხარებით იუწყებიან ამხ. იოსებ ოსეფაშვილის შვილის
პატარა გურის
უდროოდ გარდაცვალებას. გამოსვენება ლენინის ქ. № 54-დან. 11 იანვარს 4 ს. დაკრძალვა ვერის სასაფლაოზე.

შვილები: ნატაშა, ვარლამი, კოლია, ვახო, რძლები: ოლღა, ნინა, ლიდა აბრამიძეები იუწყებიან დედის
აკვირინა აბრამიძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 10 იანვარს, გამოსვენება მილიციის № 19-დან
1—1 6464

უახლოესი ამხ. გიორგი კვიტაშვილი, პეტრე ჩარექიშვილი და ნიკო გიორგობიანი იუწყებიან უახლოესი მეგობრის
ალექსანდრე თორაძის
1—1 გარდაცვალებას 6448

ქმარი ივანე, შვილები: მერი, ელანია, თამარი, დები: ივა გოგოლაძისა მრით. ანა მამულაშვილი იუწყებიან
დარო ივანეს ასულ
მამულაშვილი—კუჭაიძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 10 იანვარს 4 ს. გამოსვენება ანტონოვის ქ. № 88 დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე, სამოქ.
1—1 პანაშვიდი დღეს 7 ს. 6467

საქართველოს მაღალ ძაბვის ქსელების სამმართველოს დირექცია და მუშა-მოსამსახურეები იუწყებიან ამავე საქართველოს საზ-ზო კომიტეტის თავმჯდომარის ამხ. თორაძის ბიძის
ალექსანდრე დავითის-ძე თორაძის
გარდაცვალებას 6452

მისამართები: რედაქციის რუსთაველის პროსპექტი № 16, გამომცემლობის რუსთაველის პროსპ. № 34. ტელეფონები: რედაქტორის 8—12—26, რედაქტორის მოადგილის 8—63—03, პასუხისმგებელი მდივნის 8—06—88, მასობრივი განყოფილების 8—73—24, პარტმშენებლობის [illegible] 8—57—61, სამრეწველო განყოფილების 8—73—40, სტამბის 8—27—04, გამომცემლობის—8—51—81. ხელთნაწერებს რედაქცია ავტორებს არ უბრუნებს.

სტამბა „კომუნისტი", კალოს ქ. № 58
მთავლიტის რწმუნებული 9471.